“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (292)
თებერვალი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

გიორგი ზედგინიძე – 100

იშვიათი ნიჭის ადამიანი

100 წელი შესრულდა ცნობილი მწერლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ზედგინიძის დაბადებიდან.

გიორგი ზედგინიძე ბორჯომის მაღალმთიან სოფელ ბალანთაში დაიბადა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა ცხოვრების ახალ რელსებზე გადადის, გაჭირვება, შიმშილი, რეპრესიები კი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი ხდება. ყველა სფეროში უმწვავესად ჭირს კადრები. სოფლად თითო-ოროლა თუ იყო წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი. მესხეთი დიდხანს დედასამშობლოს მოწყვეტილ მხარეს წარმოადგენდა და, ფაქტიურად, მაინც, თურქული ენა ბატონობდა. ქართულ მწერლობა ჩანასახშიაც კი არ იყო. ქართველ ინტელიგენციას დედაქალაქიდან მოწვეული ადამიანები წარმოდგენდნენ. სამართლიანად უნდა ითქვას, რომ გიორგი ზედგინიძე, როგორც ადგილობრივი ქართველი მწერალი, ერთ-ერთი პირველია მესხეთში, რომელმაც მეოცე საუკუნის 40-70-იან წლებში, მწერლის მძიმე, მაგრამ საპატიო მისია იტვირთა და ცხოვრების ბოლომდე უერთგულა მას. იგი დიდხანს იდგა ქართული კულტურის სადარაჯოზე.

გიორგი ზედგინიძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე რომანი, პიესა, მრავალი ლექსი, ათობით პუბლიკაცია, სამეცნიერო კვლევა, ლიტერატურული წერილები. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ მოძიებული და ჩაწერილი ფოლკლორული მასალები, რომელიც დიდი შენაძენია ქართული ფოლკლორისათვის. ფასდაუდებელია მისი ფუნდამენტალური ნაშრომი „ჯავახური ლექსიკონი“, სადაც შესულია 28 ათასამდე სიტყვა და იგი გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მას ეკუთვნის ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევები, ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა ქვაბისხევის მონასტრის მე-12 საუკუნის ფრესკა, ზედ არსებული წარწერა _ „შოთა“ და „იაი“, რომელზეც გამოსახულია, მისი მტკიცებით, ახალგაზრდა შოთა რუსთაველი დედასთან ერთად.



მწვანე მონასტერი

მრავალმხრივია გიორგი ზედგინიძის მოღვაწეობა აგრეთვე მხარის ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში, მისი უშუალო ინიციატივით რესტავრაცია ჩაუტარდა ბორჯომის ხეობაში არსებულ მწვანე მონასტრისა და ქვაბისხევის სამონასტრო კომპლექსებს.

უპირველესად, გიორგი ზედგინიძე მაინც პედაგოგი იყო, გამორჩეული დირექტორი. პედაგოგიურ სარბიელზე, სადაც კი იმოღვაწა, წარუშლელი კვალი დატოვა და დღესაც მადლიერებით იხსენიებენ მისი კალთის ქვეშ დაფრთიანებული ნამოწაფრები და უშურველ ხოტბას ასხამენ მის ნიჭსა და განსწავლულობას, პედაგოგიურ მიდგომებს აღსაზრდელების მიმართ, რომელიც მშობელ მამასავით დასტრიალებდა თითოეულ მათგანს და მზრუნველობას არ აკლებდა, განსაკუთრებით კი გაჭირვებული ოჯახების შვილებს.

სწორედ ამიტომაა, რომ გიორგი ზედგინიძის სახელის უკვდავსაყოფად ბორჯომის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს და მადლიერი ბორჯომელები (და არა მარტო ისინი) ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებენ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

ჩემი საყვარელი მასწავლებელი გიორგი ზედგინიძე

მეცხრე, მეათე-მეთერთმეტე კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა, თან ტაძრისის საშუალო სკოლის დირექტორიც გახლდათ.

მოსვლის დღიდანვე დაიმკვიდრა სამივე სოფლის (დგვარის, ტაძრისის, საკირის) მოსახლეობისა და მოსწავლეების უდიდესი სიყვარული, გახდა იქ მცხოვრებთა ოჯახებისათვის სასურველი სტუმარი. თავისი უშუალობით, განათლებით, სამართლიანობით, ზომიერი თავდაჭერილობითა და სიმკაცრით ისე გადიოდა დრო მის გაკვეთილზე, რომ ყველანი ვიძახდით – რა მალე გავიდა 45 წუთიო. გვესაუბრებოდა დინჯად, გასაგებად.

ერთხელ, როცა ქეთევან დედოფალზე გვესაუბრებოდა, ისე დამთავრდა გაკვეთილი, თხრობა ვერ დაასრულა, გვითხრა – მეორე დღეს გავაგრძელოთო. ისე დაგვაინტერესა ამ ისტორიით, გაკვეთილები რომ დამთავრდა, ავედით სამასწავლებლოსთან და ვთხოვეთ, რამდენ ხანსაც გინდათ დავრჩებით, თუ დრო გაქვთ, ამბავი ქეთევან დედოფალზე დღესვე დავასრულოთო. ცხადია, უარი არ უთქვამს.

ტაძრის-საკირის მიდამოებში, ბევრი საინტერესო ადგილებია, სულ ფეხით ჰქონდა შემოვლილი არა მარტო თვითონ, ექსკურსიებზე მოსწავლეებიც თან დაჰყავდა – ძალიან საინტერესო იყო მასთან ერთად ეს ლაშქრობები.

გიორგი მასწავლებელს დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეზიის მოყვარულთა დახმარებაში. დიდი გავლენა მოახდინა ჩემზეც. მოგვისვამდა გვერდით, ყველა სიტყვას, რითმს განიხილავდა, ისე გვესაუბრებოდა, მის ტოლად მიგვაჩნდა თავი.

უყვარდა და იცოდა საქართველოს ისტორია უნაკლოდ. იცავდა შოთა რუსთაველის მესხური წარმოშობის იდეას: მიმოწერა და პირადი საუბრები ჰქონდა ამ საკითხებზე პავლე ინგოროყვასთან.

მხარს უჭერდა და ზრუნავდა ქართული ორიენტაციის მქონეთა მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლებას.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები.

ვასილ კვინცხაძე

გიორგი ზედგინიძეს

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს
ჩემს ქართულის მასწავლებელს!

შეგიცანით როგორც კაცი,
დიდი ცოდნით დატვირთული,
თითქოს არაფერი ჭირდა,
თუმც ცხოვრება ჰქონდა რთული!
მახსოვს, როგორ განიცადა,
მარტი ორმოცდათექვსმეტის,
დაგვამშვიდა ჭაბუკები...
აღგზნებულებს გვესხა რეტი.
გულით მოზიარე გახდა,
სამი სოფლის ჭირ-ვარამის,
საკუთარი წონა ჰქონდა,
არც-რა ფული, ჭურ-მარანი!
მართლაც ბუმბერაზი გახლდათ
(არა მარტო ხეობისა),
ღმერთმა კაცნი გაგვიმრავლოს
მისი ზნის და ხელობისა!
„დედის ტაძრის“ ზარი რეკავს,
სალოცავად მოდის ყველა.
მისმა აზრის სიდიადემ,
ბევრ კაცს გული გაუმთელა.
მის შვილებს და შთამომავალს,
დიდი პაპის სხივი მოსავს,
დე, ნათელი დაჰფენოდეს
მის ხსოვნას და სიტყვას ფრთოსანს!

ვასილ კვინცხაძე

ერის ღირსეული მამულიშვილი

ჩვენს სიცოცხლეს წუთისოფელი ჰქვია, ნათქვამია – ადამიანმა წუთისოფელში ორი სახელით უნდა იცხოროსო, ერთი აქ დასატოვათ, მეორე – მარადისობაში წასაღებადო. წუთისოფელში იმდენხანს გაგიხსენებენ, რა კაცობითაც აქ იცხოვრე, თუ ღირსეული პიროვნება იყავი დიდხანს გაგიხსენებენ, თუ არადა, მარადისობაში გამხსენებელი ნაკლებად გეყოლება. რა ბედნიერია ადამიანი, ვისაც აქ დიდხანს ეყოლება გამხსენებელი. სწორედ ასეთ პიროვნებაზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა. დიახ, დიდებული პიროვნება ბატონი გიორგი ზედგინიძე მინდა გავიხსენო. ან გასახსენებელი რა ჭირს ამ მთასავით კაცს, მას შემდეგ რაც გარდაიცვალა სულ მახსოვს და ხშირად ვიხსენებ მასთან საუბრის ეპიზოდებს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, გარდაცვალებიდან - 30 წელი მომავალ წელს შეუსრულდება.

ბატონმა გიორგიმ წარუშლელი კვალი დატოვა ბორჯომის საზოგადოებაში, მისი დინჯი, ბრძნული საუბარი ახლაც ყურში ჩამესმის. მისი სახით სამშობლოს ერთგული ვაჟკაცი დაბიჯებდა ამ მადლიან მიწაზე. შესანავლილი ჰქონდა სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, აჭარის ისტორიული ძეგლები, ზეპირად იცოდა საქართველოს უამრავი ისტორიული ძეგლი, ზრუნდავდა მათი აღდგენისათვის, მის ნათქვამს რაიონის ხელმძღვანელები უჯერებდნენ და ბევრი კარგი საქმეც გააკეთა ქვაბისხევის და მწვანე მონასტრის აღდგენისა და ფრესკების შესწავლის საქმეში.

გ.ზედგინიძე ქართველ კოლეგებთან ერთად ქ.კიევში

შესანიშნავი ისტორიული რომენები დაგვიტოვა: „დედის ტაძარი“ და „გატეხილი ხიდი“, 28 ათასამდე სიტყვა შევიდა მის რუდუნებით შესწავლილ „ჯავახურ ლექსიკონში“. მესხეთის თეატრში წარმატებით დაიდგა ბატონი გიორგის პიესა „მანუჩარ ჯაყელი“ და სხვა.

პედაგოგად იყო დაბადებული. დიდხანს ტაძრისის სკოლის დირექტორად მუშაობდა. მრავალი სიკეთის მკეთებელი გახლდათ. დღესაც მოწიწებით, დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების – საკირის, ტაძრისისა და დგვარის მოსახლეობა და მის ხელში გამოზრდილი ყოფილი მოსწავლეები. ბატონ გიორგის დიდი მცდელობით აშენდა ტაძრისის საშუალო სკოლა. აღდგა გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერი, ბევრი სიკეთე გააკეთა თვით სოფლის მოსახლეობისთვის. თუნდაც გასახსენებლად ნამდვილად ღირს შესანიშნავი პედაგოგის და პოეტის ქალბატონ ოლია თოფურიანის თავს გადახდენილი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ბატონ გიორგის მიერ გამოჩენილ დიდსულოვნებასთან და გაჭირვებული ოჯახის დახმარებასთან (აქვე იხ. მისივე მოგონება).

მე, როგორც ბატონ გიორგის უმცროს მეგობარს ძალიან მაკლია მისი რჩევა, დარიგებები, გონივრული წინადადებები. იგი ნამდვილად ერის ღირსეული პიროვნება გახლდათ.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე

იუბილე

მოგონებები გიორგი ზედგინიძეზე

ბატონი გიორგი ზედგინიძე ის პიროვნება იყო, რომლის ღვაწლსა და დამსახურებას დრო ვერაფერს აკლებს, პირიქით, უფრო შარავანდედი ემატება.

ძალიან ძნელია ერთ წერილში აღწერო მისი მოღვაწეობა, ურთიერთობა მოსახლეობასთან, უდიდესი ავტორიტეტი და მოკრძალება თანამშრომლებსა და მოსწავლეებში, განსაკუთრებით ძნელია ჩემთვის, რამეთუ მე მისი მოღვაწეობის პერიოდში დაწყებითი კლასის მოსწავლე ვიყავი.

ბატონ გიორგის უმძიმეს პერიოდში მოუწია დირექტორობამ – XX საუკუნის 50-60-იან წლებში. მაშინ სკოლას არ ჰქონდა არავითარი მატერიალური ბაზა, კერძოდ, მოსწავლეები ვერ ეტეოდნენ ე.წ. სკოლაში და სწავლა მეზობლად – სანდლა ბახტაძისა და ვასილ კაპანაძისაგან ნაქირავებ ბინებში უხდებოდათ...

ბატონმა გიორგიმ მიზნად დასახა მთავრობის ყურამდე მიეტანა სამი სოფლის – ტაძრისის, დგვარისა და საკირის მოსახლეობის გასაჭირი, რათა ამ სოფლებში ახალი სკოლები აეშენებინათ. მისი უზარმაზარი ავტორიტეტი და მოსახლეობისგან მისდამი უდიდესი ნდობა დიდი იმედის მომცემი იყო, რადგან ხშირად უთქვამთ: ბატონ გიორგის ნათქვამში ეჭვს ვერავინ შეიტანსო...

ახალი სკოლის აშენება იმ პერიოდში, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან სახელმწიფოს სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვი იყო, რომელმაც, თავისი ქმედებებით, მთელი ქვეყანა შეაწუხა...

მაშინ ბორჯომიდან ჩვენ სოფლებამდე არანარი ტრანსპორტი არ დადიოდა და ბატონ გიორგის ფეხით უხდებოდა 25 კმ-ის გავლა და სოფელში უკან დაბრუნება.

ჩემი დირექტორობის პერიოდში, მე წამიკითხავს მაშინდელი პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები, სადაც აღნიშნული იყო ფეხსაცმლის ცვეთის ფაქტები დიდ მანძილზე ფეხით სიარულის გამო...

დირექტორის დიდმა მონდომებამ, მზრუნველობამ და შეუპოვრობამ თავისი შედეგი გამოიღო და ტაძრისის კოლმეურნეობას 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოაყოფინა ახალი სკოლის ასაშენებლად, სადაც 1964-68 წლებში აშენდა კიდეც... თუმცა მოსახლეობა დანანებით იხსენებდა – „ჩვენთან ასაშენებელი პროექტით სკოლა ხაშურში ააშენეს და ჩვენ კი რვაწლიანი სკოლა აგვიშენესო“ (მაშინ ბორჯომის რაიონი ხაშურზე იყო მიერთებული!).

ახალი სკოლის შენობა ორსართულიანი იყო 14 საკლასო ოთახით. მაშინ ტაძრისის სკოლაში ყველა კლასი პარალელურად ფუნქციონირებდა და 22 ოთახი მაინც გვჭირდებოდა 20 ფინანსური კლასის, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკისათვის.

ახლადაშენებულ სკოლაში საშუალო და მაღალი კლასები განათავსეს, დაწყებითი კლასები კი, მაღალი კონტიგენტის გამო, ისევ ძველ სკოლაში დარჩა. მანძილი კი ამ სკოლებს შორის ერთი კილომეტრი იყო.

ბატონ გიორგის მეუღლემ, საკირელმა ქალბატონმა, თავადვე პედაგოგმა რუსეთდან ბლიაძემ დიდად შეუწყო ხელი მეუღლის წარმატებულ საქმიანობას. ისინი ცხოვრობდნენ საკირეში, ე.წ. მასწავლებელთა სახლში, რომელიც შედგებოდა ხის ორი პატარა ოთახისაგან. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ეს ოთახები სკოლის საცეცხლფარეშოს გვერდით გადმოიტანეს და შიგ ინვენტარს ინახავდნენ ხოლმე.

სკოლის დირექტორობასთან ერთად ბატონი გიორგი ეწეოდა დაუღალავ მუშაობას ფოლკლორული მასალების შეგროვებაში, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოსცა. იგი იყო საფიცარი პიროვნება სამივე სოფლის მოსახლეობისათვის. ასეთი სიყვარული და პატივისცემა სკოლის არც ერთ დირექტორს არ რგებია, არც მანამდე და არც მის შემდეგ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და სხვა დირექტორებმაც სცადეს სკოლის მატერიალური ბაზის პრობლემების მოგვარება, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ შეძლეს.

80-იანი წლების ბოლოს დირექტორმა ოთარ მაღრაძემ სცადა 8 ოთახის მიშენება, მაგრამ დასრულება ვეღარ მოასწრო, რამეთუ დაიწყო ავად მოსაგონარი 90-იანი წლები, როდესაც ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა, ეს მიშენებული ოთახები, გადაუხურავობის გამო, თოვლმა და წვიმამ ჩარეცხა, რაც საფრთხეს უქმნიდა ბავშვების სიცოცხლეს.

2003 წლის სექტემბერში დავინიშნე სკოლის დირექტორად და ვცადე ამ პრობლემის მოგვარება. უამრავ ბიუროკრატიულ პრობლემას გადავაწყდი, სოფელშიც ბევრი მონინააღმდეგე გამომიჩნდა და მაშინ მივხვდი, თუ რამდენი შრომა, გარჯა და მოთმინება დასჭირდა ბატონ გიორგის იმ 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთის სკოლისათვის გამოსაყოფად.

მართალია მე იმ ფართობის ნახევარი – 2 ჰექტარი დამხვდა სკოლის საკუთრებაში, მაგრამ სწორედ ეს გამოდგა გადამწყვეტი ფაქტორი ახალი სკოლის ასაშენებლად 2008-2009 წლებში.

ამრიგად, ბატონი გიორგი ზედგინიძის მიერ 60-იან წლებში დარგულმა კეთილმა ნერგმა იხარა და ბოლოს ტაძრისის საჯარო სკოლას ეღირსა გვიან, მაგრამ მაინც საჯარო სკოლის ახალი შენობა. სწორედ ამიტომ რჩება მისი სახელი და ავტორიტეტი სანიმუშო ადამიანის ეტალონად არა მარტო ტაძრისში, არამედ ყველგან, სადაც მას უმუშავია და უმოღვაწია...

კოზა მეტრეველი,
ტაძრისის საჯარო სკოლის დირექტორი
2003 – 2010 წლებში

ექსკურსია წიკორწმინდაში

სცენა სპექტაკლიდან „მანუჩარ ჯაყელი“

წრომელებთან

ჩემი სულმნათი მასწავლებელი

ეს ბუმბერაზი და უსათნოესი პიროვნება – ტაძრისის საშუალო სკოლის დირექტორი, პატივცემული გიორგი ზედგინიძე გახლდათ.

სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა ჩემი მასწავლებელი, ღრმა პატივისცემით სარგებლობდა როგორც ჩვენი სოფლის, ასევე მთელი რაიონის მოსახლეობაში. იცნობდა სკოლის თითოეული მოსწავლის საყოფაცხოვრებო პირობებს, იყო დიდი პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

ამ წერილით მინდა ჩემი ბავშვობის ერთი ეპიზოდი მოგითხროთ და დაგანახოთ გიორგი მასწავლებლის თბილი გული და დიდი ბუნება.

მდინარე საკირულაზე გადებულ პატარა ბონდის ხიდს სოფლის წისქვილი ამშვენებდა. ეს იყო სკოლასთან მისასვლელი გზა. წისქვილის ახლოს სოფლის უხუცესი ადამიანები – თეთრ-წვერ-ულვაშა პაპები, მეწისქვილე გიორგი პაპასთან იკრიბებოდნენ და შემოდგომა-გაზაფხულის მზეს მიფიცხებულნი ტკბილად მასლაათობდნენ...

ისე როგორ იქნებოდა, წისქვილის ბონდზე გადმოსვლისას, შხეფები არ შესხმოდა გიორგი მასწავლებელს, მაგრამ მაინც ამ გზით უყვარდა სიარული. მის დანახვაზე მოხუცები დარბაისლურად წამოიმართებოდნენ, წელში მოიხრებოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ ქუდის მოხდას და ფეხზე ადგომით ესალმებოდნენ...

სკოლის დირექტორი, პატივცემული გიორგი მასწავლებელი, მკერდზე მიდებული მარჯვენით, თავდახრით ესალმებოდა დროულ ადამიანებს და პასუხად ყოველთვის ტკბილ ლოცვას ღებულობდა – „იცოცხლე, იდღეგრძელე, იმზეგრძელეო“...

იმ მოხუცებს, სკოლის ეზოში მხრებგაშლილი ჭადრების შესახებ, სიამაყით აქვთ ნათქვამი ჩვენთვის, ბავშვებისათვის: „პატარა წკეპლები იყვნენ, ჩვენ რომ დავრგეთ შეგირდებმა, სკოლის ეზოშიო“...

აი, ამ წისქვილის ბონდზე გადმოატარა გიორგი მასწავლებელმა სკოლის სასურველი სტუმრები – სიმონ ჩიქოვანი და ელიზბარ ზედგინიძე. დანაპირები აგვისრულა. ბინდი წვებოდა საუკუნოვანი ცაცხვების ქვეშ, მაგრამ სკოლის ეზოში ლექსს დაეპყრო დიდი და პატარა... მაშინ სკოლას დარბაზი არ ჰქონდა, შეხვედრები ღია ცის ქვეშ იმართებოდა...

14 წელი ემსახურა პატივცემული გიორგი მასწავლებელი ჩვენი სკოლის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. 600 კომლიან სოფელში ყველა ოჯახის სატკივარ-სადარდებელი იცოდა, ყველა ოჯახის ახლობელი იყო. თითოეული მოსწავლის საყოფაცხოვრებო პირობებს თვითონვე ამოწმებდა, ცდილობდა დახმარების ხელი გაეწვდინა ყველასათვის და სწავლაში ხელი შეეწყო...

სკოლის საცდელ ნაკვეთში კარტოფილს ვიღებდით, დიდი და პატარა იქაა, მხიარულება სუფევს. კლასებს შორის შეჯიბრებაა გაჩაღებული, ვინ უფრო მეტს აკრეფს, სუფთად და უდანაკარგოდ...

მასწავლებელმა, რომელიც ჩვენ შრომით ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მოულოდნელად იკითხა: „მაინტერესებს, ვინ რას ინატრებსო“. ატყდა ჟრიამული, ყველა ხუმრობის ხასიათზე დადგა. ვინ თავის საყვარელ კერძს ასახელებდა, ვინ სად ნატრობდა ყოფნას და ვინ სად...

მე ჩემთვის ვიყავი ჩაფიქრებული და პატარა ღრუბლის ქულას გავყურებდი, რომელიც „დათვის თავს“ (მთაა, ჩვენს სოფელს რომ გადმოჰყურებს) ზემოთ გამოჩნდა. ალბათ იწვიმებს, გავიფიქრე და მასწავლებლის ხმაც შემომესმა: „შენ რას ინატრებ თოფურიანო?!“ – ნეტავი არ იწვიმებდეს და თუ იწვიმებს, იწვიმოს დღისით, ღამე ნუ იწვიმებს... (დაკვირვებული ვიყავი და დღემდე ასეა – „დათვის თავის“ ზემოთ თუ ღრუბლის პატარა ნაგლეჯი გამოჩნდა, წვიმა გარდაუვალია)...

– რატომ?! – ჩამეძია მასწავლებელი.

– მამა ავადაა, დედა თავზე ადგია, ბებო მწოლიარეა. როგორც გარეთ წვიმს, ისე სახლში, სახურავი მთლიანად დალპა, დღისით შევეფარებოდით რამეს, ღამით მძინარეებს გვაწვიმს, – ვუთხარი მასწავლებელს...

იმ ღამით, კოლმეურნეობის გამგეობას სწვევია პატივცემული გიორგი მასწავლებელი...

დილით სოფლის ხელოსნები მოგვადგნენ, ახსნეს ძველი სახურავი, ახლით შეცვალეს. სკოლიდან გახარებულები დავბრუნდით მე და ჩემი და-ძმა, ჩვენზე ბედნიერი აღარავინ მეგულებოდა დედამიწაზე... სიხარულის ცრემლები მცვიოდა, კი არ დავდიოდი – დავფრინავდი სიხარულით, იმ ღამით ძილი არ მოგვკარებია... სოფელს ეძინა, მე და ჩემი და-ძმა აივანზე დავრბოდით, ვხარხარებდით, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვეფერებოდით... – იწვიმოს, თუნდაც მთელი ღამე, წვიმა აღარ შეგვაშინებს, ვფიქრობდი და მიხაროდა... უზომოდ მახარებდა ყველაფერი...

ეს დიდი სიხარული თქვენ მაჩუქეთ, გიორგი მასწავლებელო და განა მარტო მე?! კიდევ რამდენ ჩემისთანას...

ამისათვის გმადლობთ, მარადიულობაში გადასულო, ამაგდარო, ღირსეულო, ჩვენი სამი სოფლის – ტაძრისის, დგვარისა და საკირის მოამაგევ, უდიდესო პიროვნებავ, ჩვენო გიორგი მასწავლებელო!...

როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ტაძრისიდან თქვენი წასვლა გადაწყდა, თქვენი პირველი საზრუნავი სკოლის ახალი შენობის საძირკვლის ჩაყრა იყო. იმდენი იბრძოლეთ, რომ 1967 წლის სექტემბრის თვეში, ნანატრმა სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება.

თქვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თქვენი სიხარულით ხარობდა სოფელი, უკანასკნელი აგურის დადებამდე მშენებელთა გვერდით რომ იდექით...

გიორგი მასწავლებელო, თქვენ უკვდავებას ეზიარეთ თქვენი კეთილი საქმეებით!...

მარადიული დიდება თქვენს უსპეტაკეს სულს!

დავიწყება არ უწერია თქვენს საქმეებს!

თქვენ, თქვენი აღზრდილების გულში აგრძელებთ სიცოცხლეს!

თქვენ დიდი შემოქმედი და დიდი პედაგოგი ბრძანდებოდით!

კიდევ და კიდევ მარადიული ნათელი ჩვენო ამაგდარო, ჩვენო ღირსეულო მასწავლებელო...

ოლია თოფურიანი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტი,
სოფ. საკირე

კვალი ნათელი

ბატონი გიორგი ზედგინიძის ვაჟი ვოვა (ვლადიმერი) და მე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე თანაკურსელები ვიყავით. სტუდენტთა ქალაქშიც ერთ ბინაში მოგვიწია ერთად ცხოვრება. ჩვენთან ერთად, მთელი სამი წლის მანძილზე, ჩვენივე თანაკურსელი ამირან ლაშხია ცხოვრობდა. ის ზუგდიდან გახლდათ. ჩვენდა სამწუხაროდ, იგი ნაადრევად გამოგვაკლდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ზუგდიდის ახალგაზრდობის წინამძღოლი იყო. 25 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული). სიკეთით და იუმორით სავსე, უნიჭიერესი პიროვნება იყო. ზუგდიდში, მის საპატივსაცემოდ, მისი სახელობის ქუჩაა. სამივეს დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა.

ბატონ გიორგის გაცნობა კი სულ უბრალოდ მოხდა. ახალი დაბინავებულები ვიყავით სტუდქალაქში. ერთ საღამოს კარები ნელა გაიღო. ოთახში ვოვა შემოვიდა. მის უკან გოლიათური აღნაგობის სიმპათიურმა, შუა ხნის მამაკაცმა შემოაბიჯა.

– მამაჩემია, ბიჭებო! გაიცანით, – თქვა ვოვამ.

საწოლზე წამოწოლილები ფეხზე წამოვცვივდით, შემოსულ სტუმარს მოწიწებით მაგიდასთან სკამი შევთავაზეთ. სკამზე მძიმედ დაეშვა, მერე ორივე დაკვირვებით შეგვათვალიერა, სადაურობა და გვარი გვკითხა.

ჩემი გვარისა და ასპინძელობის გაგონებაზე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– მაშ, ასპინძელი ყოფილხარ, ხომ? ჩვენებური!

იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, რომელიც შემდგომ ახლობელ ადამიანად იქცა. ისე გავშინაურდით, რომ ძია გიორგის ვეძახდით, თუმცა მისი პიროვნების მიმართ ყოველთვის მორიდებასა და მოწიწებას ვიჩენდით. ის ისე არ ჩამოვიდოდა თბილისში, სამსახურეობრივ საქმეზე, რომ ჩვენთან არ გამოვევლო. მამაშვილურად მოგვიკითხავდა. ტკბილი, საინტერესო საუბარი იცოდა. ზედმიწევნით კარგად ფლობდა საქართველოს ისტორიას. ქართულ ლიტერატურაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო.

ერთხელ, საუბრისას, მოულოდნელი კითხვა დაგვისვა: – როგორც მომავალ ისტორიკოსებს, რა შეხედულება გვქონდა 1956 წლის 9 მარტს თბილისში სტუდენტი ახალგაზრდობის გამოსვლაზე და იმ უბედურებაზე, რომელიც ამ გამოსვლის გამო თავს დაატეხეს იმ პერიოდის საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა?

ერთმანეთს გადავხედეთ. დასმულ შეკითხვას ვერცერთმა ვერ ვუპასუხეთ. პასუხის საფუძველი არ გაგვაჩნდა, მითუმეტეს, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება ჩქმალავდა სიმართლეს. ჩვენც, ახალგაზრდებმა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდით ამ ამბების შესახებ.

ქართველმა დედებმა ისე დაკრძალეს თავიანთი დაღუპული შვილები, როგორც გვიან გავიგეთ, გლოვის საშუალებაც კი არ მისცეს მათ. მდგომარეობიდან ისევ ძია გიორგიმ გამოგვიყვანა და თავისივე დასმულ კითხვას, ისევ თვითონ გასცა პასუხი:

– დაიმახსოვრეთ, ახალგაზრდებო! იმ დღეების სისხლიანმა გამოსვლებმა გვიჩვენა, რომ ქართველ ერს არ სძინავს. ეს იყო ერის ღირსებისა და მეობის დაცვა. მამების ნაცვლად საბჭოთა ვაიმმართველებს ახალგაზრდობამ გასცა საკადრისი პასუხი. ისე კი, უმადური და უმეცარია რუსი ერი, თავისებური. მათ გონივრული მმართველობის უნარი არ გააჩნიათ. ამის დასტურად მათივე ისტორია კმარა. ისინი ქვეყნის სამართავად ნორმანდიიდან ხან რურიკებს იწვევდნენ, ხან გერმანელებს. გერმანელმა ეკატერინე მეორემ, ფრიად განათლებულმა იმპერატრიცამ, ოქროს ხანა შეუქმნა რუსებს, რომ არაფერი ვთქვათ, ქართული წარმომავლობის პეტრე პირველზე და სტალინზე, რომელმაც კავის რუსეთი ატომურ რუსეთად უქცია.

ერთხელ ვოვამ ერთი „საიდუმლო“ გაგვიმხილა: – მამა ისტორიულ მოთხრობას წერს, მესხეთზე. იგი მწერალია.

ის დღე კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: 1969 წელს დამამთავრებელ კურსზე ვიყავით. პირველი სემესტრის გამოცდებს ვაბარებდით. „თავს ძლივს ვწევდით წიგნებიდან“. დღის 12 საათი იქნებოდა. ვოვა ისე გავიდა ოთახიდან, ჩვენთვის არაფერი უთქვამს. საღამოს კი, მისთვის დამახასიათებელი ხმაურით, შემოაღო კარი. წამით გაგვიღიმა, – სად იყავი ამდენ ხანს? – ვკითხეთ.

– მწერალთა კავშირში! მერე ბანკეტზე. მამაჩემის წიგნის გამოსვლა აღნიშნეს. მესხური ღვინით სავსე ფიალაში ჩადებული „დედის ტაძრის“ და მესხეთის სადღეგრძელო შესვეს მწერლებმა, – თქვა ამაყად და საჩუქრად თითო წიგნი გადმოგვცა. წიგნს ხარბად დავაცქერდით, ავტორის გვარისა და სახელის ქვემოთ ლამაზი შრიფტით „დედის ტაძარი“ ეწერა.

აქვე შევნიშნავ, რომ ქართულ მწერლობაში ეს მეორე წიგნი იყო მესხეთზე გრიგოლ აბაშიძის „დიდი ღამის“ შემდეგ, სადაც მთავარი მოქმედი გმირები, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, მესხები იყვნენ. სხვათა შორის, აღნიშნული ორივე ნაწარმოების წაკითხვით ისე აღფრთოვანებული დავრჩი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, რომ თურმან თორელის სიმღერა დღესაც არ დამვიწყებია გარნისის ბრძოლასთან დაკავშირებით:

„ომი კი არა ზეციდან
დაცემა იყო მეხისა,
გარნისის კლდესთან კვეთება
ოთხი ათასი მესხისა“.

და შემდეგ, პოეზიაში, ირაკლი აბაშიძის ლექსმა „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“ და „მესხეთმა“ ერთიორად გამიორკეცა ის სიყვარული, რომელსაც ჩვენი გმირი წინაპრების სიყვარული ჰქვია. „პოეზიის – რუსთაველის დღის“ აღნიშნვამ კი, მოგეხსენებათ, საღამოს ძილიდან გამოიყვანა მესხეთი. იმედის ახალმა მზემ გამოანათა. იქამდე კი, რატომღაც, არავის ახსოვდა მესხეთი, არც ინტელიგენციით და არც მწერლობით, სულმნათი ნიკო კეცხოველის გარდა...

„დედის ტაძარი“, წიგნის მაღაზიებში, მისი გამოსვლისთანავე, რამდენიმე კვირის განმავლობაში, გაქრა... როგორც იტყვიან, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

არ ვიცი, საიდან გაეგოთ თბილისში მყოფ ასპინძელებს ამ წიგნის გამოსვლა, რომ მომაკითხეს. უარი ვერავის ვკადრე. თითქმის ერთი წელი ხელიდან ხელში გადადიოდა იგი. ძლივს დავიბრუნე ნაჩუქარი წიგნი.

აღნიშნული წიგნის შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, მისი მეორე ისტორიული რომანი „ჩატეხილი ხიდი“ გამოვიდა, რომელიც ფეოდალური ხანის ქართლის ცხოვრებას ასახავს.

ძია გიორგი წერდა მოთხრობებს, ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს, ეწეოდა სამეცნიერო კვლევებს. ამ მხრივ მისი მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს „ჯავახური ლექსიკონი“, რომლის შედგენას მრავალი წელი მოანდომა. მას ფანატიკურად უყვარდა მესხეთი. თითქმის ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ბავშვივით ელოლიავებოდა თითოეულ ციხეს, ტაძარს, წინაპართა საფლავის ქვებს. ხშირად მსმენია მისგან: თურქთა ბატონობამ, ვინ იცის, რამდენი ჯერ არ დაბადებული გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, ბექა და ბეშქენ ოკიზრები, იქნებ მეორე რუსთაველიც დაასამარა, ხოლო ბედუკუღმართობით ისტორიის ქარტეხილებში არც დავითი ჩანდა, არც გიორგი ბრწინვალე და არც შალვა ახალციხელი ქვეყნის გადასარჩენად.

ის წუხდა ქვეყნის წარსულზე, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან, წუხდა ქვეყნის მომავალზე.

როზერტ ბერიძე

მაყვალა ხატიაშვილი

რა მშურს ხეების?

რა მშურს ხეების?
– სადაც გაჩნდნენ,
დასასრულს რომ
იქვე ელიან;
მათი შრიალი
სამშობლოს ჩემსას
რომ გადაუვლის
მთაგორველიანს,
რაღაცას ჩუმად
რომ გაანდობენ
სალ კლდეებსა და
მწვანე ლელიანს;
ზამთრის ყინვებს რომ
ერთად უძლებენ,
გაზაფხულსაც რომ
ერთად ხვდებიან.

რა მშურს ხეების!
– უფლის ნაბოძებ
პატარძლის კაბას,
მწვანე სამოსსაც
ერთად იცვლიან;
სულ რომ დგანან და
სულ რომ იცდიან;
ის, რომ ზამთრისპირს
წითელ-ყვითელ
ფოთლების ფარჩას
ერთად იხდიან;
ის, რომ ნამდვილად
ჩვენზე მეტი,
ბევრად მეტი,
მართლა იციან.

რა მშურს ხეების?
– ამ მთებივით რომ
დგანან, იცდიან;
ბებერ ფესვიდან
ამოზრდილ ნერგებს
რა დაანათლონ,
კარგად იციან;
დედასამშობლოს
რომ არ იცვლიან,
მოჭრილებიც რომ
აქვე იწვიან.
ის რომ ამ ლეგა
ღრუბლებივით
თავის ფესვებს
არ შორდებიან,
არსად მიდიან.
და რომ ნამდვილად
ჩვენზე მეტი,
ბევრად მეტი,
მართლა იციან.

ეული მთვარე

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს
მთვარე ისევ ცაზე დახვდა მზეს.
დაჰკარგვია ელვარება ღამის,
ცის ტატნობზე ძლივს აჩნია ლამის.

ღამემ ურცხვად მოუხურა კარი,
წაიყოლა თან ვარსკვლავთა ჯარი.
მზის სხივებში თითქოს სული ჰხდება,
რომ დამარცხდა, ახლა ძლივსღა ხვდება.

ელვარეს და მხედართმთავარს რჩეულს,
ახლა ვუცქერ ფერმკრთალსა და ეულს.
დღემ იმძლავრა, სადღაც გაქრა ბნელი,
მზე გაბრწყინდა – ვითომც არაფერი.

ნახ. ზურაბ ათოშვილისა

სიღნაღს

კავკასიის ქედის
დამრეც ფერდობზე
წუხელ დაცურდნენ
ნისლის აფრები,
რძისფერ ტალღებად
ჩალაგდნენ ველზე,
ხევებს ჩაჰკიდეს
გირლიანდები.
ამ სითეთრეში
ობლად მოჩანდა
უძვირფასესი
ჩემი ალაგი,
თითქოს თოკებით
დაუშვეს ციდან
მუზების წყარო –
ჩემი ქალაქი.

მუზა

საჭმელს ვამზადებდი,
მომეახლა,
ფრთა ფრთხილად გამომკრა
მადლიანმა,
– რა დროს საჭმელიაო, –
შემომინყრა,
ჩქარაო, თორემ
დაგვიანდა.
ფიქრებში ჩამძირა,
გამიტაცა,
სად არ მაფრინა და
მარონია,
ის, სადაც საუფლო
სივრცეა და,
სადაც სულ ყვავილობს
მაგნოლია.
მერე წავიდა, დამეკარგა,
თან გაჰყვა ცისფერი ამქარი,
წინ – გადაშლილი რვეულია,
ხელში – წვერწათლილი ფანქარი.
***.
რა დამრჩა?
ლექსი მადლიანი,
ტაფაზე – საუზმე დამწვარი.

ილია ცეცხლაძე

სინანულით ანიტას

ეს ღამეები, ისევ დილები,
ისევ იგივე ცეცხლის გალია,
ჩემს გულს დაჩრდილულს
შავი ჩრდილებით,
მზიან დღეთათვის აღარ სცალია.

არ შემიძლია ამ გრძნობის ფარვა,
ამ მწუხარე ფიქრს ვერაფრით ვდევნი,
მე ასეთ დღეში პირველად არ ვარ,
სულმა აქამდეც ითმინა ბევრი.

ვიქნები მაინც ვით გაძარცვული,
შემხვდება ოდეს შენი თვალები,
თავს შეგახსენებს მუდამ წარსული
და ძველებურად არ გეყვარები.

შენ რომ იცოდე ვინ ვარ და რა ვარ,
რა სულს მალავენ ჩემი თვალები,
შენი გულისთვის რა სკნელებს ჩავალ,
– მათ არასოდეს დაემალები.

შენ რომ იცოდე, შენ რომ იცოდე,
ო, რომ იცოდე, მაგრამ არ იცი,
განა შეკრთები და შემიცოდებ,
გამომინოდებ ხელებს ხალისით.

ცრემლში მცურავი, როგორც მლოცველი,
სიკვდილმისჯილი სკამზე, ანიტა,
ვყვირი და მაინც ვერ ამოვძვერი
ამ დასაწვავი ჩემი კანიდან.

ასე რომ მიმზერ, რა ცოდვას სჩადი,
ხანდახან, გითხრა, არ მყოფნის ძალა,
და მეცინება (მძიმეა დარდი),
შენ კი გგონია სხვა ფიქრებს ვმალავ.

და ვრჩები განზე გაჭრილ კარტივით,
მეოცნებეთვის როგორც ალგებრა,
განდგომის მთელი ეს ნარატივი
შორია, უცხო და უსარგებლო.

უბინაობა

არავის გულში არა მაქვს ბინა,
არა მაქვს ჭერი, სახლი არა მაქვს,
მე, როგორც ბოშას, ქუჩაში მძინავს,
მხოლოდ მზე მიღებს გულის დარაბას.

დღეს მე ბევრ ნაცნობს ველაპარაკე,
ბევრ გრძნობის სიტყვას ვათხოვე ყური,
მაგრამ თავს ვგრძნობდი როგორც ზვარაკი,
მარტოობისთვის გადადებული.

არავის გულში არა მაქვს ბინა,
დღეს უნებურად მე დავასკვენი,
და დღევანდელმა დღემ მაგრძნობინა,
ზეცავ, მარადი სიცივე შენი.

ერთადერთს და მწუხარეს

მან შეუცნობელ ზღვებში შეტოპა,
არ სწყინდებოდა მწვერვალზე ასვლა,
მას გაუმწარეს ერთადერთობა,
ხელიხელ ნაზი გოგმანის ნაცვლად.

მაგრამ მითხარი, საით რას ელი,
ვის ემართლება შენი არია?
ერთადერთობა უდაბნო ვრცელი,
გულისმომკვლელი სიმწუხარეა.

აქ მხოლოდ ფიქრებს დღიური იტევს,
ეს მართლა სისხლით არის ნაწერი,
ღმერთო, ამდენი, მე მიკვირს კიდეც,
როგორ ითმინე, როგორ გაძელი?

და ბალდახინში მისი გაბრწყინდა
შუბლი, მოცული ამღვრეულ ღრუბლით,
თუმცა ნაცნობი იყო მთაწმინდა,
და შარავანდსაც იცნობდა შუბლი.

ეული მთვარე

შენ დაღლილი ხარ, ძლიერ დაღლილი,
ახლოა მიწა, შორია ზეცა,
გულის ყოველი ამოძახილი
მომაკვდავების ჩაგესმის კვნესად.

გამოეცალა შენს ყოფას აზრი,
ნელ-ნელა ასე, თვალს და ხელს შუა,
ცხოვრებისათვის შენ ასე დაცლილს
მცირე ნუგეშზეც გითვლიან უარს.

შველის სხვა დაღლას მძიმე ღრმა ძილი,
ეგ კი ისეთი მძიმეა დაღლა,
ამღვრეული გაქვს ცხოვრების ნირი,
მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობ შენ ახლა.

სულმოკლეობად ნურვინ ჩაგითვლის,
რადგან გადიან დღეები და შენ
ქარიშხლის ყბაში ყოფნას არ აჩენ,
სულზე გადაკვრას სასტიკი ფითრის.

აჰა, გამოხვალ ქუჩაში, გინდა,
გინდ არ დატოვებ ბინის გალიას,
ყველგან მაღალი გილიოტინა
და კოცონების ცეცხლის ალია.

სამყარო მაინც ლამაზი არის,
რადა ღირს თუნდაც, თვალები შველის,
ან ბრმა კაცისთვის ახელა თვალის,
მაგრამ ეს ყველა შენ ვეღარ გშველის.

რომ ზედმეტი ხარ, დადიხარ ბარგად,
არაფერს ნიშნავ სამყაროსათვის –
შენ ეს უწინაც იცოდი კარგად,
მაგრამ სიცოცხლეს მაინც ლოცავდი.

ახლა კი შენ და ცხოვრებას შორის
გაჩნდა უფსკრული უკვდავად ვრცელი,
და მის გაქრობას ფიქრითაც შორით,
ფიქრითაც შორით შენ აღარ ელი.

პროზა

ამირან ჯმუხაძე

ცხოვრების ფასი

– თენგო, შვილო, ბოლოს და ბოლოს როდის მივდივართ? – შეეკითხა ვახტანგი.

– არ ვიცი, მამა, რა გითხრა, როგორც იქნა ამას ველირსეთ, რომ ჩვენი მევალე გამოვიჭირეთ, მას სხვა გზა აღარ დავუტოვეთ, იძულებულია, დღეს გადაგვიხადოს, მისი სახლიც ვიცით და კარიც, მით უმეტეს, ჩემი ბიძაშვილის კორპუსში ცხოვრობს და სად გაგვექცევა, ეგ დამპალი! ამიტომაც, უნდა ვიჩქაროთ, ვაი თუ კიდევ დაგვაღალატა, მერე რაღა ვქნათ?!

– ნუ გეშინია, კაცო, ყველაფერი კარგად დამთავრდება, ვერ გადაგვაგდებს, მაგ საცოდავს მარტო შენი ბიძაშვილი, ვახო მოუვლის, არ აცოცხლებს მაგ უბედურს!

– კი, შვილო, მაგრამ, მაინც, რაც დროზე მივალთ, უფრო უკეთესი იქნება, ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს! – წყნარი ტონით მიმართა მამამ.

– იმ არაკაცმა, სამი საათისთვის დაგვიბარა, ხომ? – ხმა აიმაღლა თენგიზმა.

– ხოდა, უკვე ორი საათი ხდება, უნდა ვიჩქაროთ!

– არა უშავს, მოვასწრებთ, – დასძინა თენგიზმა.

– ღმერთმა ქნას, მაგრამ, ხომ იცი, დედაშენის ამბავი, სარკესთან თუ ჩამოჯდა, იქედან ველარ მოაცილებ, თავის მოწესრიგებას დიდხანს უნდება, ამ პრანჭვა-გრეხვაში დრო აღარ ახსოვს და შენ კარგად იცი, როგორი პუნქტუალური ადამიანი ვარ, რომ მეტყვიან, სამზე მოდიო, მე სხვანაირად არ შემიძლია, უნდა მივიდე და იმასაც ვგრძნობ, რომ დედაშენი დამაგვიანებს, ის ახვარიც მიზეზს ნახავს და აითესება.

– კარგი რა, მამა, რატომ ღელავ, ხომ იცი, შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, ხომ არ დაგავიწყდა, ერთი კვირის წინ რა დღეში იყავი, ძლივს დაიძვრინე თავი, შენ ახლა სიმშვიდე და სიწყნარე გჭირდება, ინსულტი ვერაგი დაავადებაა, მაგრამ მეტი გზა აღარ გვრჩება, უშენოდ ის ფულს არ მომცემს, ამიტომაც იძულებული ვარ, რომ შენც წაგიყვანთო, ეს გულს მიკლავს და მადარდებს. შენი შეწუხება არ მინდა!

– არა, თენგიზ, გენაცვალე, ვერავითარი ავადმყოფობა ვერ გამაჩერებს. მინდა, რომ იმ გათახსირებულ კაცს თვალებში ჩავხედო და სათქმელი პირში მივახალო.

– ეჰ, მამა, ნეტავი შენ! აიღე ფული და სახლში წამოდი, რა დროს საქმის გარჩევაა. მიხვდი რა, ახლა უკვე სხვა დროა, ამ ცხოვრებაში არაფერზე არ ღირს ნერვების მოშლა.

– კარგი, თენგო! რას ვიზამთ, წლებს თავისი მიაქვს. – დაბალი ხმით წარმოთქვა ვახტანგმა და ღრმად ამოიოხრა.

– რა დროს შენი სიბერეა, მამაჩემო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, სამოცდახუთი წელი არაფერია. მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინ გაქვს...

– უკვე მაშაყირებ, კიდეც, ხომ? მართალია, გარეგნობით კარგად გამოვიყურები, მაგრამ, მთავარია, სულს უნდა უხაროდეს, რომ თავი ახალგაზრდულად იგრძნო!

– კარგი, ახლა ხომ დაწყნარდი? სულ ცუდზე ნუ ფიქრობ, ეცადე, სულ დადებით ამბებზე გადაიტანო ყურადღება. წარმოიდგინე, დღეს რომ ფულს ავიღებთ, მერე ცოლიც მოსაყვანი მყავს. ნუ დარდობ, მე და შენ ყველაფერი წინა გვაქვს და ამიტომ, ძალინ გთხოვ, ცხვირის ჩამოშვება არ იყოს. თუ გინდა გამოჯანმრთელდე, ნერვიულობას უნდა მოეშვა!

– მე, შვილო, სხვა რამეზე ვდარდობ. დედაშენი ამ ფულს ხელში რომ ჩაიგდებს, კარგად ვიცნობ და ვიცი, რას იზამს და რას მოიმოქმედებს. ხომ იცი, ფულის დანახვაზე დედაშენს ტვინი ეკეტება და რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს, უაზროდ არ გაფანტოს ფული! ხომ იცი, სამართლიანი კაცი ვარ და პირდაპირი თქმა ვიცი და, მით უმეტეს, შენ უნდა იცოდე, რომ დედაშენის უაზრო ხუშტურებმა გამიფუჭა გული, რასაც იტყვის, იმას ვერავინ გადააფიქრებინებს. – წარმოთქვა ვახტანგმა, ჭაღარაშერეულ თმაზე ხელი გადაისვა და შემდეგ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი....

– აბა, მამაჩემო, ასეთი რამეები არ იყოს, უაზრო აზრები თავიდან მოიშორე, უკვე ორმოცი წელია ერთად ხართ და ახლა საყვედურობ დედაჩემს?!

– არ ვემდური შვილო, უბრალოდ მწყინს, მარტო ფულზე არ უნდა ფიქრობდეს ადამიანი. მარტო მის გარშემო არ უნდა ტრიალებდეს აზრი და გონება, ხანდახან მეც უნდა მომაქციოს ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, მე უკვე მისთვის დაბალი ღობე ვარ. ასეა, ჩემო კარგო, დღევანდელ დროში, როცა ადამიანი და, მით უმეტეს, კაცი, თუ სამსახურს დაკარგავს, უმუშევარი დარჩება და ფულს ვეღარ შეიტანს ოჯახში, უკვე მეორე ხარისხოვანი ხდება და ეს მაცოფებს სწორედ. ფული და ფუფუნება არ უნდა დაყენო ადამიანობაზე მაღლა! სამწუხაროდ, შენი დაც მაგას ემსგავსება და ეს უფრო მაგიჟებს.

– არა, მამაჩემო, მაგას ნუ იტყვი. შენს ქალიშვილზე ცუდი წარმოდგენა გქონია. მე მას უფრო ახლოს ვიცნობ, ვიდრე შენ. უბრალოდ, ხომ იცი, ის უკვე რა ასაკშია, შენს მიმართ ძალიან მორიდებულია, არადა, ძალიან კეთილია. ჯერ პატარაა, გაიზრდება და კარგი გოგო დადგება.

– რაღაც, არა მგონია! მეშინია, დედაშენის ბუნებამ არ გადასძლიოს.

– კარგი, მამა, რა გემართება, რა გჭირს?! რაღა დღეს მოგინდა ასეთ თემებზე ლაპარაკი?

– დავიღალე, ბიჭო, დავიღალე! მეტის ატანა აღარ შეიძლია. მეც ხომ ადამიანი ვარ? მინდა, რომ დარჩენილი ცხოვრება ტკბილად გავატარო. მომბეზრდა სულ ერთსა და იგივეზე ფიქრი. უარყოფითმა ემოციებმა დამახრჩოსულ პატარა, მაგრამ გადაკრული სიტყვებიც ნერვებს მიშლის, – გაბრაზებული ტონით წარმოთქვა ვახტანგმა და შვილს გახედა, რომელიც მას გაოცებული სახის გამომეტყველებით უყურებდა.

– ვიცი, შვილო, რომ გიკვირს ჩემი ხასიათის ცვლილება. ეტყობა, ამ ვერაგმა დაავადებამ იმოქმედა ჩემზე.

– ვერ გცნობ მამა, რა გემართება, რა გჭირს?

– ოჯახურმა დავიდარაბამ და ქვეყნის არასტაბილურობამ, ხალხის შურმა და ბოღმამ ხომ საერთოდ შემშალა.

– მამა, ეს უკვე მეტისმეტია!

– მაპატიე, შვილო! მეტს არაფერს ვიტყვი. წადი ახლა დედაშენთან და უთხარი, რომ გვეჩქარება და დროზე მორჩეს პრანჭვას. აუხსენი, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს!

თენგიზი ოთახიდან გავიდა და დედის ოთახში შევიდა.

– დედა, უკაცრავად, რომ განუხებ, მაგრამ მამა ძალიან ნერვიულობს, დროზე წავიდეთო!

– მე რა, არ ვნერვიულობ? მაგრამ სარკესთან ყოფნა ცოტას მამშვიდებს. თანაც, იცი ჩემი ხასიათი, მე თუ არ მოვწესრიგდი, ისე ვერ გავალ სახლიდან! ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება.

კარგი დედა, ყველაფერს საზღვარი აქვს. ხომ იცი სამ საათზე იქ უნდა ვიყოთ. დროზე თუ არ მივალთ, ის მამაძაღლი გადაიკარგება და მერე უყარე კენჭი!

– აბა, შვილო, ზედმეტი ნუ მოგდის. უნდა იცოდე, ვისთან რა უნდა ილაპარაკო. შენ ბედოვლათ მამას ჰგონია, რომ მარტო ის ნერვიულობს და განიცდის? მაგრამ ასე არ არის. მაგაზე უფრო მე ვწუხდები, დღე და ღამე არ მძინავს, უბრალოდ, ვერ გამოვხატავ. ბოდიშს გიხდი, მაგრამ ძალიან გთხოვ, რომ ოთახიდან გახვიდე! – უთხრა დედამ და შვილს გასასვლელისკენ მიანიშნა.

ცხოვრების ფასი

თენგიზმა უკმაყოფილო გამომეტყველებით ოთახის კარი მოხურა და გავიდა სამზარეულოში, სადაც მამა ელოდებოდა.

– რაო, რა გითხრა? კიდევ სარკესთან ზის ხომ? – დაინტერესდა ვახტანგი.

– კი, მამაჩემო!

– გადამრევს ეს ქალი. მოკლედ, მაგის გამოსწორება არ იქნება, უკვე მერამდენედ უნდა გითხრა, რომ მისი ცხოვრების კრედო კარგი ჩაცმა-დახურვა და ფულია. სხვა დანარჩენი მისთვის არ არსებობს, მაგრამ, რას ვიზამთ, მაგან მომიღო ბოლო, მაგან დამაავადმყოფა. მართალია, ამას შენი თანდასწრებით არ უნდა ვლაპარაკობდე, მაგრამ შენც ხომ უნდა გამიგო. ვიცი და კარგად ვხვდები, რომ დედაშენზე ასეთი ტონით ლაპარაკი არ გსიამოვნებს. მაგრამ შენც ხომ კარგად იცი, ამას მე ზიზღით და მისი აუტანლობის გამო არ ვლაპარაკობ. ეს ყოველივე ჩემთვის ოჯახური ტრაგედიაა, როგორც კაცმა კაცს, უნდა გამიგო და ესეც დაიმახსოვრე, როცა ცოლის მოყვანას დააპირებ, ეცადე, ისეთი გოგო შეარჩიო, რომელსაც კეთილშობილი და სათნო ხასიათი ექნება, თორემ ჩემს ბედს გაიზიარებ...

– ასე რატომ ლაპარაკობ, მამა, შეიშალე? – გაბრაზდა თენგიზი.

– ნუ ბრაზობ, შვილო, არაფერს განსაკუთრებულს არ გეუბნები, რაც სიმართლეა და ცხოვრებამ მასწავლა, იმას გელაპარაკები!

– მორჩი, გეყოფა, მეც ნერვებს მიშლი და შენც ნერვიულობ!

– კი, ბატონო, ხმას აღარ ამოვიღებ, – წარმოთქვა ვახტანგმა და თავი ჩაღუნა.

რამდენიმე წუთი მამა-შვილს ხმა არ ამოუღია, ცოტა ხანში დედაც შემოვიდა სამზარეულოში, მის დანახვაზე, ძალაუნებურად, ორივე ფეხზე წამოდგა. მანანამ, ვახტანგის მეუღლემ, პირჯვარი გადაიწერა და უსიტყვოდ გასწიეს გასასვლელი კარისკენ.

გარეთ ძალიან ცხელოდა. ლურჯ ცაზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიცარ ჩანდა. ასფალტს ბუღი ასდიოდა. მალე ტაქსიც გააჩერეს და სწრაფადვე შიგ ჩასხდნენ.

ცოტა ხანში მანქანაში ძალიან ჩამოცხა. ხანში შესული მძღოლი, რომელსაც დიდი ულვაშები და პატარა, კოხტა ღიპი ამშვენებდა, ოფლად იწურებოდა. ის უკან იყურებოდა და სულ ვახტანს აკვირდებოდა. შემდეგ, მის გვერდით მჯდომ თენგიზს მორიდებით მიმართა, მანქანას ცოტა ხნით გავაჩერებ, რაღაც უნდა გითხრაო. თენგიზი გაოცდა, მაგრამ დაემორჩილა. მანქანა გააჩერა. ორივე სწრაფად გადმოვიდნენ მანქანიდან. მძღოლმა თენგიზს ხელ-კავი გაუყარა და რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ, მორიდებული ტონით მიმართა:

– მანქანაში კაცი რომ ზის, მამაშენია?

– კი, ბატონო, მაგრამ რაშია საქმე? – გაკვირვებული ტონით მიმართა მძღოლს თენგიზმა.

– მაპატიეთ, მაგრამ მამაშენის ფერი არ მომწონს, მისი გამოხედვა კი დამთრგუნველია. გული ხომ არ აწუხებს? არ დაგიმალავ, მეშინია მანქანაში ცუდად არ გახდეს.

– მაგას ნუ დარდობთ, ყველაფერი კარგად იქნება. ისე კი, ორი კვირის წინ, ინსულტი გადაიტანა.

– მით უმეტეს, გენაცვალე, მეც ეს ავადმყოფობა მაქვს გადატანილი და გთხოვთ, თუ ძალიან სასწრაფო საქმე არა გაქვთ, ჯობია სახლში დავბრუნდეთ, მეშინია ინსულტმა არ გაუმეოროს!

– გმადლობთ, რომ ყურადღებას იჩენთ მამაჩემის მიმართ, მაგრამ ისეთ საჭირბოროტო საქმეზე მივდივართ, მამაჩემის იქ ყოფნა აუცილებელია. უიმისოდ საქმე არ გამოვა.

– კარგი ბატონო, თქვენი საქმისა თქვენ იცით. მე ჩემი გითხარით. ახლა კი, მანქანაში ჩავსხდეთ და გზა განვაგრძოთ, – წარმოთქვა მძღოლმა. მანქანას მიუახლოვდა, კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. თენგიზიც მანქანაში ჩაჯდა. მძღოლმა მანქანა დაქოქა და გზას გაუყვა. რამდენიმე წუთში, როცა პროსპექტს მიუახლოვდნენ, საცობში აღმოჩნდნენ. დრო კი არ ითმენდა. მანანამ ველარ მოითმინა და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი: – ნეტავი რამ გადარია ეს ხალხი? დილა რომ იყოს, კიდევ მესმის, მაგრამ ამ პაპანაქებაში და ისიც შუადღეზე, რა უნდათ ქალაქში? რას დაბორიალობენ. სახლში ვერ გაჩერდებიან? თავის დროზე თუ ვერ მივედით, დავიღუპებით!

– სწორედ იმიტომ გეუბნებოდი, რომ დროზე გამოვსულიყავით, რომ მიეწებე იმ სარკეს, ცოტა ხომ უნდა დაფიქრდე? ამაზე საჩქარო საქმე რაღა უნდა იყოს. კარგად იცი, რომ ჩვენი ბედი დღეს წყდება, შენ კი ზიხარ სარკესთან და პრანჭვას უნდები!

– კარგი, გეყოფა, ვახტანგ! შენ მაინც ნუ იღებ ხმას, შენმა მიამიტობამ დამღუპა და დამაქცია, როგორ ვერ მიხვდი, თუ ვის აძლევდი ფულს. ჩვენ არ დაგვეკითხე და ხომ ნახე, რაც მიიღე, შვიდი წელი გაწვალა, მაგ გათახსირებულმა კაცმა, შენ ჯანმრთელობა შეგირყია, ჩვენ კი სიღარიბეში გვაცხოვრა.

– კარგი დედა, რა დროს ეს არის? ხომ იცი, მამაჩემის ნერვიულობა არ შეიძლება! შენ მაინც შენსას არ იშლი! გეყოფა, რა!

– კარგი, შვილო, რას იზამ. სიმართლის თქმა არავის სიამოვნებს!

– შენ ლაპარაკობ ამას? არ გრცხვენია? შენმა კაპრიზებმა და სიხარბემ დამღუპა და ახლა, თურმე, ჩემი ბრალი ყოფილა ყველაფერი. ფული ვისაც ვასესხე, ისიც შენი ნაქები ნათესავი იყო! – წარმოთქვა ვახტანგმა და მაშინვე ცუდად იგრძნო თავი, ხელი გულის მხარეს მიიდო, ამოიგმანა და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა – ძალიან ცუდად ვარ, ჰაერი არ მყოფნის! ამის გაგონებაზე, მძღოლმა მაშინვე გაზს მიაჭირა ფეხი და საყვირს ხელი დააჭირა. ბედზე, საცობიც გაიხსნა. თენგიზმა მაშინვე უკან მოიხედა, შეშინებულმა მამას შეხედა და თავში იტაკა ხელი. მანანამ კი, მეუღლეს პერანგის საყელო შეუხსნა, ცოცხალ-მკვდარი ვახტანგი უსიტყვოდ, მაგრამ შესაბრალისად, გულწრფელად და, რაც მთავარია, უსიტყვოდ არწმუნებდა ცოლს და შვილს, რომ მას საშინლად სწყეროდა სიცოცხლე და ეს სიკვდილი მისთვის ნაადრევი იყო. მის გამოხედვაში იგრძნობოდა, თუ როგორ ებრალებოდა საკუთარი თავი. შვილი გაშტერებული უყურებდა მომაკვდავ მამას და ხვდებოდა, თუ რა სიყვარული ჰქონია მის მიმართ. ხვდებოდა, რომ ყველანაირი სიყვარული უფერულდებოდა მამა-შვილურ სიყვარულთან, ასეთი უანგარო და ასეთი ღრმა გრძნობა არავის მიმართ არ ჰქონია. უყურებდა მამას და გული უკვდებოდა. მანქანა სწრაფად მიდიოდა, მძღოლი სულ ოფლად იღვრებოდა. მან, ამასობაში, უკან მოიხედა, თენგიზს შეხედა და სევდიანი ხმით წარმოთქვა: – ნუ გეშინიათ, საავადმოფოში სულ მალე ვიქნებით, დაახლოებით ხუთ წუთში და... მანქანა საავადმყოფოს კარს მიადგა. ალაყაფის კარი გაიღო და ცოტა ხანში ისინი კლინიკის მისაღებთან იყვნენ. ექიმები მაშინვე მოვიდნენ, ვახტანგი სასწრაფოდ გადმოიყვანეს მანქანიდან, მოძრავ საწოლზე მოათავსეს და მეორე სართულზე, რეანიმაციის განყოფილებაში, აიყვანეს.

დედა-შვილი პირველ სართულზე დარჩა. ექიმებმა მათ აუხსნეს, რომ ზევით ავადმყოფთან არავის უშვებდნენ. მის მდგომარეობაზე პასუხს კი, მაშინვე შეატყობინებდნენ. თენგიზი ნერვიულობისაგან ბოლთას სცემდა, მანანაც აწრიალდა, მოსვენება დაკარგა. მძღოლი კი, თავჩაქინდრული იყო და ორივეს გაოცებული შეჰყურებდა.

თენგიზი ისევ ბოლთას ცემდა, დედა რომ მიუახლოვდა და დაბნეული ტონით უთხრა:

– შვილო, რასაც ახლა გეტყვი, არ გეწყინოს, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს. შენ აქ დარჩი, მამაშენს მიხედე, მე კი – მოვალესთან წავალ და ფულს გამოვართმევ, ვახოს დავურეკავ და ის მიმყვება მასთან!

– რას ამბობ, დედა, რა დროს მევალესთან წასვლაა. კაცი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, შენ კი, რას აკეთებ, არ გრცხვენია?!

– ეჰ, შვილო, აბა რა ვქნათ? სხვა გზას მე ვერ ვხედავ. აქ რომ დავრჩე, რას მოვიგებთ? ფულის გარეშე ვერაფერს შევძლებთ, დამიჯერე, თენგიზ, ასეა საჭირო! – ამ წინადადების წარმოთქმის შემდეგ დედამ შვილს მხარზე ხელი დაადო და სწრაფად მოტრიალდა, იქვე მდგომ ტაქსის მძღოლს ანიშნა, წამომყევიო. ისინი აჩქარებული ნაბიჯით საავადმყოფოს გასასვლელისკენ გაემართნენ. ამის შემხედვარე თენგიზმა დიდი სიცარიელე იგრძნო გულში. მიხვდა, რომ დედამისი, საოცრად მოქანცული ადამიანი, ამ ცხოვრების ჩვეულების კარნახით მოქმედებდა. ამის გაფიქრებაზე თვალებზე ცრემლი მოადგა და, რომ არავის შეემჩნია, იქვე მდგომ სკამზე ჩამოჯდა და თავი დახარა...

კონსტანტინე საფარიშვილი

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანემ – ფერიქოის სავანემ, მრავალი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა ქართველ ერს. მათ შორის იყო კონსტანტინე საფაროვი – საფარიშვილი. ცნობილია, რომ იგი სტამბოლში ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში სასწავლებლად 1899 წელს გაემგზავრა. სავანეში არსებულ ვაჟთა სასწავლებლის დასრულების შემდეგ, წესისა და რიგის მიხედვით, სწავლა განაგრძო რომში – 1909-1910 წლებში. იმ პერიოდში რომში ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა მიხეილ თამარაშვილი, რომელიც თავისი მოღვაწეობით მისაბაძი იყო ქართველი მამულიშვილებისათვის.

მათი გაცნობა მოხდა 1909 წელს, როდესაც მამა კონსტანტინე საფარიშვილი სწავლის გასაგრძელებლად რომში ჩავიდა. **„თამარაშვილი მე გავიცანი 1909 წელს ქალაქ რომში. თამარაშვილი დაგვხვდა სადგურზე. შეხვედრა იყო გულითადი, მამაშვილური და მხიარული. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თამარაშვილმა წაგვიყვანა და დაგვბინავა“**, – წერდა იგი. როგორც მისი მოგონებიდან ჩანს, მიხეილ თამარაშვილი იყო რომში მყოფი სტუდენტების ხელმძღვანელი, მფარველი, დამრიგებელი და ყველაფერში ხელის შემწყობი. მან მოიწონა ქართველი სტუდენტების აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ იუბილარი აკაკისათვის საქართველოში გაეგზავნათ სურათი: „შოთა რუსთაველი თავის კალამს გადასცემს აკაკი წერეთელს“. თავისი ხარჯით დაახატვინა იტალიელ მხატვარს და რომის ქართველ სტუდენტთა სახელით გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მიხეილ თამარაშვილის მაღალზნეობრივი თვისებებიდან კონსტანტინე საფარიშვილი განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდა შემდეგს: **„მე შენიშნული მქონდა მასში: სადა თავმდაბლობა და გულუხვობა. მიუხედავად მისი არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობისა, ის ყველგან ასრულებდა ზომიერების და თავდაჭერილობის კანონებს. შრომისმოყვარეობით ხომ ის იყო განთქმული“**. იგი განცვიფრებული იყო მიხეილის გიგანტური ენერგიითაც და ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით. მას განსაკუთრებით მოსწონდა ცხოვრების მისეული განმარტება: **„ცხოვრება არის და უნდა იყოს ბრძოლა, ადამიანის პატიოსნების შეძენის, შენარჩუნების და გარშემო გავრცელებისათვის“**. მისთვის ასევე შთამბეჭდავი იყო მიხეილისეული ვალდებულების განსაზღვრაც: **„ვალდებულება მუდამ სიამოვნებაზე მაღლა უნდა იყოს დაყენებული. ჯერ ვალდებულების მოხდა და მერე სიამოვნების მიღება. ვალდებულების მოხდა სახელმწიფოს წინაშე, საზოგადოების წინაშე და საკუთარი თავის წინაშე“**.

კონსტანტინე საფარიშვილი მიხეილში ხედავდა ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული უკვდავყოფილი კეთილი მოძღვრის სახეს. აღნიშნავდა, რომ მან საკუთარი თავის გაწირვის ფაქტით დაამტკიცა ის, რომ ილია ჭავჭავაძის მოძღვრის სურათი რეალურია. მას მიხეილის ასეთი შეფასების შესაძლებლობა მიეცა იმის შედეგად, როცა რომში მყოფი მიხეილის ცხოვრების ბოლო წლების ერთ-ერთი მხილველი იყო. მასთან სიახლოვემ საშუალება მისცა ახლოს გასცნობოდა მიხეილის პიროვნებას და მის ინტერესებსაც. იგი აღნიშნავდა, რომ მიხეილ თამარაშვილი ქართველ სტუდენტებს კვირაში ორჯერ ნახულობდა. მოუცლელობის მიუხედავად, მათთან ერთად გასეირნებასაც ახერხებდა. რომის გარეთ, ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს, როდესაც ისინი სამშობლოს იგონებდნენ, ერთმანეთს ლექსებს ეუბნებოდნენ, მიხეილსაც გრძნობით წარმოუთქვამს თავისი ლექსი:

„სალამი შენდა, სამშობლო მხარევ.
სალამი შენდა, კავკასიონო;
შენც, ალაზანო, ცრემლთა
მდინარევ,
და შენც, კოლხეთის ცელქო რიონო!

უცხოეთიდან სალამს გიგზავნი,
სალამს მზიურს და
არწივის ფრთიანს,
შენის ოცნებით ვიქარწყლებ ვარამს
და თავს გევლები, ბუნებას ღვთიანს.

თუ ველარ გნახო, ტურფა ედემო,
და უცხო ცის ქვეშ აღმომხდა სული,
შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო,
შენ მიისვენე შენი ერთგული!“

კონსტანტინე საფარიშვილი მამა იან სნეჟინსკისთან

ეს შესანიშნავი ლექსი სწორედ კონსტანტინე საფარიშვილმა შემოგვინახა. უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ თამარაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია 1958 წლის 27 მაისს ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილის გარდაცვალების შემდეგ ეს იყო ერთ-ერთი პირველი დიდი ღონისძიება ჩატარებული საქართველოში..... საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს მეცნიერებმა: **შალვა ჩხეტიამ, ილია მაისურაძემ, ტარიელ კასრაძემ, აკაკი გაწერელიამ, შალვა გოზალიშვილმა, ბეჟან გიორგაძემ.** ვრცელი მოგონებით გამოვიდა მიხეილის მონაფე და თანამედროვე მღვდელი კონსტანტინე საფარიშვილი. მათ გააშუქეს მიხეილის ცხოვრება-მოღვაწეობა და მემკვიდრეობა, რითაც ხელი შეუწყეს მის, როგორც მეცნიერისა და მამულიშვილის გაცნობა-პროპაგანდას. ამავე კონფერენციაზე მიწვეული იყო მიხეილის შთამომავალი – პეტრე თამარაშვილი (მიხეილის ძმის გრიგოლის შვილი), რომელიც ასევე მოგონებით გამოვიდა. კონსტანტინე საფარიშვილმა, კონფერენციაზე წაკითხვის შემდეგ, მოხსენიებული ლექსი გადასცა მიხეილ თამარაშვილის ერთ-ერთ შთამომავალს პეტრე თამარაშვილსა და ილია მაისურაძეს – ივანე გვარამაძის შვილიშვილს.

კონსტანტინე საფარიშვილმა, ასევე საინტერესო მოგონებები შემოგვინახა მიხეილ თამარაშვილის ნაშრომთან – „ქართული ეკლესიის ისტორია,“ დაკავშირებით: **„თამარაშვილის ფრანგული წიგნის „ლეგლიზ გეორჯიენნე“ კორექტორობას ასრულებდა ჩვენი სასწავლებლის მასწავლებელი, ვინმე შარონი, რომელმაც ფრანგული ენა საუცხოოდ იცოდა და რომელიც აღტაცებული იყო წიგნის შინაარსის გაცნობით. ფურცლებს რომ კითხულობდა და ასწორებდა, მუდამ თავს აქეთ-იქით აქნევდა და ღიმილით გაიძახოდა: „რა საინტერესოა, ეს რა საინტერესოა“, თითქოს ის ახლად აღმოჩენილ ქვეყნის განსაცვიფრებელ ამბებს კითხულობდა“.** საფრანგეთი კმაყოფილი დარჩა ამ შესანიშნავი ნაშრომის ფრანგულ ენაზე გამოცემით. ამ ნაშრომზე ევროპაში მრავალი რეცენზია დაიწერა. იგი მსოფლიო რეზონანსის ნაშრომად მიიჩნიეს. ქართველოლოგი **დავით ლანგი** მადლიერებით აღნიშნავდა, რომ მიხეილ თამარაშვილის მიერ არქივებში მიკვლეული ძველი ლათინური და სხვა ტექსტების ფრანგულ ენაზე თარგმნამ და გამოქვეყნებამ, დიდი სამსახური გაუწია ევროპელ მეცნიერებს, რომელთაც საშუალება მიეცათ უკეთესად გაცნობოდნენ საერთოდ აღმოსავლეთსა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ არსებულ ორიგინალურ წყაროებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი ნაშრომი მოითხოვა ევროპის თითქმის ყველა აკადემიამ და უმაღლესმა სასწავლებელმა.

კონსტანტინე საფარიშვილი 1911 წლის 8 დეკემბერს ეკურთხა მღვდლად. მან პირველი ნირვა სტამბოლის სავანეში, ღვთისმშობლის ჩასახვის ქართულ ეკლესიაში, ჩაატარა. მას მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლება, შესანიშნავად გალობდა და იყო ლოტბარი. აღნიშნულს ასაბუთებს სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ფონდარქივში დაცული მასალები. **მამა პიო ბალიძემ,** სავანის წინამძღვრად არჩევიდან სულ მალე, მიაღწია ქართველ კათოლიკეთა სანუკვარ ოცნებას – მოუპოვა ქართული ტიპიკონის უფლებების ხელახალი ნებართვა. რომის პაპმა უფლება მისცა ქართულად ეწირა. 1913 წლის 14 იანვარს, წმინდა ნინოს დღესასწაულზე, მონასტერში, შალვა ვარდიძის თანამწირველობით, ქართულ ენაზე შეასრულა წმინდა ლიტურგია. წირვის დროს გალობდა მგალობელთა გუნდი კონსტანტინე საფარიშვილის ლოტბარობით.

წმ. პეტრე-პავლეს ტაძარი

სტამბოლის ქართველ მამათა (ფერიქოის) სავანე ქართველ კათოლიკეთათვის განათლების ერთ-ერთ მძლავრ კერად ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თავისი არსებობის განმავლობაში, იყო ქრისტიანობის, ქართული კულტურისა და მეცნიერების მძლავრი კერა. წარმოადგენდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრ კერას უცხოეთში. მისი დაფუძნებისა და არსებობის მისია სამშობლოს სამსახური იყო, ქართული ტიპიკონის მღვდლებისა და ეროვნული სამღვდელოების მომზადება, ქართველი კათოლიკე მრევლის დაცვა და მათი ეროვნული გადაგვარებისაგან გადარჩენა.

კონსტანტინე საფარიშვილი მღვდლად კურთხევის შემდეგ სავანეში მცირე ხნით ეწეოდა ღვთისმსახურებას, შემდეგ სამოღვაწეოდ დაბრუნდა სამშობლოში. რამდენადაც იგი იყო ეროვნული სულისკვეთების მღვდელი, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახებოდა, ანტიეროვნული ხელისუფლებისათვის და ძალებისათვის იგი მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ, ძალიან მალე, ჯაჯუშობის ბრალდებით, გადაასახლეს სარატოვში, სადაც გერმანელი კოლონისტებისათვის გერმანულ ენაზე ატარებდა წირვებს. მან სტამბოლში – სავანესა და რომში მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება და იმავდროულად დაეუფლა ათ უცხო ენას.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე კონსტანტინე საფარიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. კერძოდ, 1918-1924 წლებში მოღვაწეობდა გორში, იყო კათოლიკური ეკლესიის – „ფრანგების ეკლესიის“ მღვდელი და წინამძღვარი, სარატოვის ეპისკოპოსის მივლინებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა სალოცავებისა და სასულიერო პირებისადმი დამოკიდებულება. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 22-ე დეკრეტით ეკლესიების ქონება სახელმწიფოს კუთნილებად გამოაცხადა, ისტორიული ღირებულების ნივთები მუზეუმებს გადაეცათ. 1921 წელს დაიხურა გორის კათოლიკური ეკლესიაც, მისი წინამძღვარი კონსტანტინე საფარიშვილი იბრძოდა ეკლესიის გახსნისათვის. ამიტომ ის დააპატიმრეს ორი კვირით. მიიჩნიეს საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგედ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ხელისუფლებამ უკან დაიხია და მორწმუნეებს რელიგიური საზოგადოებების შექმნისა და ეკლესიების გახსნის უფლება მისცა, გორის სამაზრო აღმასკომმა შსს სახალხო კომისარიატს მიმართა კონსტანტინე საფარიშვილის სამშობლოდან გაძევების შუამდგომლობით. მართალია, აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე იგი არ გაუსახლებიათ, მაგრამ ეპისკოპოსმა 1924 წელს მღვდლად განამწესა კახეთში – სოფელ სანავარდოში, შემდეგ კი სოფელ ხიზაში. ჯაჯუშობის ბრალდებით იგი კვლავ დაატიმრეს. რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ დაუბრუნდა მღვდელთმსახურებას. იმჯერად უკვე მესხეთში, სოფელ უდეში. 1925-1926 წლებში, კათოლიკურ ეკლესიაში მამა კონსტანტინეს მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მოგონებები შემოგვინახა მისმა თანამედროვემ და სოფლის მკვიდრმა **იოსებ პეტაშვილმა.** მისი გადმოცემით, **„პატრი განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდა მოზარდების მიმართ. მან შეარჩია დიაკვნებად 14-15 წლის ახალგაზრდები და მათ „თორმეტი მოციქულის“ სახელით მოიხსენიებდა, ქართულ და ლათინურ ენებზე ასწავლიდა ლოცვებსა და ღვთისმეტყველებას. იოსებ პეტაშვილი თვითონ იყო მისი ერთ-ერთი დიაკვანი. „დიდ ხუთშაბათს წმინდა წირვაზე, მლოცველების თანდასწრებით, დიაკვნებს სიმბოლურად ფეხებს ბანდა და ფეხზე ეამბორებოდა“**. მამა კონსტანტინემ ბევრი სიახლე შეიტანა ეკლესიის ცხოვრებაში. მისი ინიციატივით დაიდგა ორ რიგად გრძელი დასაჯდომი მერხები. მარჯვენა რიგში სხდებოდნენ მამაკაცები, მარცხენა რიგში – ქალები. მგალობლებისათვის მოაწყო სცენა, ეკლესიაში მიიტანა ფორტეპიანო. თვითონ ცნობილი ლოტბარი იყო და მგალობელი გოგონების მომზადებაში ეხმარებოდა **ანიკო თუმანიშვილი,** რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა სტამბოლის დედათა სავანის სასწავლებელში.

პატრის ასეთი ზრუნვა ახალგაზრდებზე მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომ ის კვლავ დაატიმრეს 1927 წელს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც მან მძიმე ცხრა წელი დაჰყო. მასთან ერთად იმყოფებოდნენ ქართველი სასულიერო პირები. კერძოდ, სტამბოლის მონასტერში აღზრდილი სხვა მღვდლები. მათ შორის იყო სავანის წინამძღვარი **ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი** (სოფელ არლიდან).

1936 წელს კონსტანტინე საფარიშვილის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. მოსკოვმა მისცა თბილისში დასახლებისა და მსახურების ნებართვა. იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა მთავრობასთან თანამშრომლობაზე, აეკრძალა თბილისში ცხოვრებაც და მღვდელმსახურებაც. ამიტომ იგი დარეგისტრირდა ქალაქ ბორჯომში, სადაც ოცდაათი წელი ცხოვრობდა და ფოტოგრაფიით იყო დაკავებული. „მას პატარა ოთახი ჰქონდა, სადაც ფოტოგრაფობასთან ერთად საიდუმლოდ ეწეოდა მღვდელთმსახურებასაც. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მისულ მრევლს ასაჩუქრებდა თავისივე გადაღებული ხატებით და მიწერილი ლოცვებით.“

1966 წელს, როდესაც გარდაიცვალა, თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი **მამა ემანუელ ვარდიძე** (სტამბოლის მამათა სავანის აღზრდილი), მამა კონსტანტინემ მიიღო თბილისში დაბრუნებისა და მღვდელთმსახურების უფლება. იგი მოხსენიებული ეკლესიის წინამძღვარი იყო გარდაცვალებამდე (გარდაიცვალა 1973 წლის 11 დეკემბერს, დაკრძალულია ეკლესიის ეზოში).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში მოსახლეობას მალულად უხდებოდა ეკლესიასთან ურთიერთობა, ნათლობისა და ჯვრისწერის ცერემონიალების ჩატარება. აღნიშნულთან დაკავშრებით საინტერესო მოგონება აქვს **მამა ზურაბ კაკაჩიშვილს.** იგი სრულიად პატარა – სამი წლის, 1968 წელს, მშობლებმა ვალედან ჩაიყვანეს თბილისში და ჩუმად მონათლეს წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის კათოლიკურ ეკლესიაში. იგი მონათლა ეკლესიის წინამძღვარმა და იმავე დროს საქართველოში მოღვაწე ბოლო ქართველმა კათოლიკე მღვდელმა მამა კონსტანტინე საფარიშვილმა.

კონსტანტინე საფარიშვილი წლების განმავლობაში ეხმარებოდა **პიო ბალიძის** (სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ორგზის წინამძღვარი) დას **საბედა კეღოშვილ-ხითარიშვილისას.** ჰქონდა მიმონერა, უგზავნიდა სანთელს და აძლევდა საჭირო რჩევებს (ამ ქალბატონმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ბოლომდე უპატრონა სოფელ ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიას).

ამრიგად, კონსტანტინე საფარიშვილი იყო XX საუკუნის სასულიერო წოდების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ცხოვრებით საზოგადოებას დაანახა ჭეშმარიტი მორწმუნის სახე, ერთგული დარჩა უმთავრესი დევიზის: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე“. მიუხედავად დევნისა და გადასახლებებისა, სიცოცხლის ბოლომდე იყო ხალხისა და ქვეყნის სამსახურში. მიმდინარე წელს მამა კონსტანტინეს გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წელი შესრულდება. სამარადისო ყოფილიყოს ხსენება მისი.

ნატო ყრუაშვილი,
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს

ვახტანგ გურული

(დასასრ. დასაწყ. იხ. წინა ნომერში)

„წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“

გალაკტიონი

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942 წ.წ.).

ილიას დაკრძალვის ცერემონიალი

რუსეთის იმპერიის აღსასრულს (1917 წლის თებერვალ-მარტი) თითქოს ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით იმედები ვერ გაამართლა. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1918 წლის 26 მაისი) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა (ოზაკომი) და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917 წლის მარტი - 1918 წლის აპრილი), ისევე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, საქართველოშიც დაუცველი და მოუვლელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დაწესებულებების არქივები. მასალების დიდი ნაწილი ან დაუდევრობით, ან შეგნებულად (პოლიტიკური მიზნით), განადგურდა. ყველა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა მოესპო ისეთი საარქივო მასალა, რომელიც სახელს გაუტეხდა მას. ასე განადგურდა მასალები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიების სამმართველოებში, თბილისისა და კავკასიის ოხრანკების, თბილისის პოლიცმაისტერის, დროებითი სამხედრო გუბერნატორების (გენერალ-გუბერნატორების), მაზრების უფროსების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის ოლქის პროკურორების, კავკასიის სასამართლო პალატის, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს, თბილისის მეტეხის საპყრობილისა და სხვა საპყრობილეთა არქივებიდან. შეგნებულად თუ შემთხვევით განადგურებულ საარქივო მასალათა შორის აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისა და სასამართლოს მასალები (1907-1909 წწ.). ამ დანაკარგის ანაზღაურება დღეს უკვე შეუძლებელია.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიება საზოგადოების სრულიად ბუნებრივი მოთხოვნა იყო. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი. საბოლოოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ხელისუფლების აზრი, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, ამიტომაც მკვლელობის საქმის გამოძიებას დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა ექნებოდა. მეორენი თვლიდნენ, რომ, მართალია, ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, მაგრამ მკვლელობის საქმის გამოძიებას შეიძლებოდა ჩრდილი მიეყენებინა ქართველი მენშევიკებისათვისაც, რადგან ქართველ მენშევიკთა ნაწილი, იდეური თვალსაზრისით, დაპირისპირებული იყო ილია ჭავჭავაძესთან და აქტიურად ებრძოდა მას. საბოლოოდ ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სახელმწიფო ზრუნვის საგნად ვერ იქცა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მართალია, ილიას მკვლელობის თაობაზე მასალებს აგროვებდა, მაგრამ ეს საქმე მინდობილი ჰქონდათ არაპროფესიონალებს, მუშაობა წარმოებდა უსისტემოდ. საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ კომისიამ მასალების რაღაც ნაწილი ან გაანადგურა, ან საგულდაგულოდ გადამალა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დაიწყო ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი. ილია გამოცხადდა „ფეოდალურ-მონარქისტული ნაციონალიზმის მამამთავრად“, „ხალხთა შორის ეროვნული შუღლის გამღვივებლად“, „თავადაზნაურობის ინტერესების დამცველად“, „ბატონყმობის იდეოლოგად“, „სასტიკ მემამულედ“, „სოციალური თანასწორობის მოწინააღმდეგედ“, „პროგრესის შემაფერხებლად“ და ა.შ. ილიას სულიერი მემკვიდრეობის უარყოფა მიმდინარეობდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის სულისჩამდგმელისა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორის ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით. აქვე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას: ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფა არ შეიძლება განვიხილოთ ფილიპე მახარაძის კერძო ინიციატივად. ეს იყო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება, ე.ი. სახელმწიფო პოლიტიკა. სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს შორის 1921-1922 წლებში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერი სერგო ორჯონიკიძე და საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი ფილიპე მახარაძე სრული თანხმობის ვითარებაში ცდილობდნენ ილიას სახელის ამოშლას საქართველოს ისტორიიდან. ისინი ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს აიძულებდნენ, XIX საუკუნის საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობის ისტორია ილიას გარეშე გაეაზრებინათ. ამის მაგალითს იძლეოდა ფილიპე მახარაძე, რომელიც ილიაზე წინ დანიელ ჭონქაძეს აყენებდა. ვინც ამ უმსგავსობის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, სასტიკად იდევნებოდა. ილია ჭავჭავაძეს ბევრი სხვა ვინმეც ებრძოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძის ნაწერებში აშკარად იგრძნობა ბიოლოგიური ზიზღი ილიასადმი. საოცარია, მაინც რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფილიპე მახარაძის სიძულვილი ილიასადმი, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელი ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, განუწყვეტლივ ებრძოდა მას, ჯერ ცოცხალს, შემდეგ მკვდარს.

ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე ი.გრიშაშვილი, გ.ძიძიგური, ლ.ასათიანი, ა. ძიძიგური, შ. ჯაფარიძე

1921 წლიდან ფილიპე მახარაძე სისტემატურად აფერხებდა ილიას მკვლელობის თაობაზე მასალების მოძიებასა და გამოქვეყნებას. იბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც მხარს უჭერდა ოხრანკის მიერ ილიას მკვლელობის ვერსიას. ფილიპე მახარაძე ავტორების მიმართ მუქარასა და შანტაჟსაც არ ერიდებოდა.

ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფა ფილიპე მახარაძისა და „მისი რაზმის“ (ე.ი. ხელისუფლების) მიერ 1921 წლიდან 1934 წლამდე გაგრძელდა. ამ სამარცხვინო კამპანიას 1934-1937 წლებში ზღვარი დაუდო იოსებ სტალინმა.

1934-1937 წლებში ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების სასიკეთოდ კვლავ თავისთავად დასვა კითხვა: ვინ მოკლა ილია? XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის პასუხის ერთადერთი, ხელისუფლებისათვის მისაღები ვარიანტი ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოკლა ოხრანკამ. დაიწყო ამ ვერსიის დამადასტურებელი მასალების მოძიება. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს იოსებ სტალინის დავალებით ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ავტორმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ შეძლო ხელისუფლების დაკვეთის შესრულება. მოძიებული მასალიდან აშკარა ხდებოდა, რომ ილიას მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ, ოხრანკის კვალი არ დასტურდებოდა. 1938 წელს გამოიცა პაატა გუგუშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. მართალია, პაატა გუგუშვილი ილიას ოხრანკის მოკლულად მიიჩნევდა, მაგრამ ნაშრომიდან (გამოკვლევიდან და თანდართული დოკუმენტებიდან) აშკარა ხდებოდა, რომ ოხრანკის მიერ ილიას მოკვლის ვერსია შეთხზული იყო, კვალი აშკარად სოციალ-დემოკრატებისაკენ მიდიოდა, ასეთი შეუსაბამობა პაატა გუგუშვილს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა. კიდეც რომ გაჰპარვოდა, წიგნს ცენზურა არ გაუშვებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ წიგნში არსებული ეს „შეუსაბამობა“ იოსებ სტალინს სჭირდებოდა. ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერის დიდოსტატს, ალბათ, ამჯერადაც, რაღაც მიზანი ამოძრავებდა. იოსებ სტალინის ეს მიზანი იმდენად ვერაგული იყო, რომ ლავრენტი ბერიაც კი დაიბნა. იოსებ სტალინისაგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიების დავალება რომ მიუღია, გაოცებულ ლავრენტი ბერიას უთქვამს: ამ საქმეს რაღა გამოძიება უნდა? ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი ბელადს მოსკოვში ჰყავს თავისთან, მეორე კი მე მიზის თბილისშიო. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ლავრენტი ბერია სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს გულისხმობდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1934-1937 წლებში ილიას ნაზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებამ, ილიას რეაბილიტაციამ, ბუნებრივად დასვა კითხვა: ვინ მოკლა ილია? ხელისუფლებას, სურდა თუ არ სურდა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. ეს კი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებას მოითხოვდა. ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სხვა მიზეზებმაც განაპირობა. უნდა ვივარაუდოთ, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი იოსებ სტალინს XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისთვის შექმნილი ვითარების გამო დასჭირდა. უფრო კონკრეტულად კი, იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორება სურდა. ძველი ბოლშევიკური გვარდია სერიოზულად ფიქრობდა იოსებ სტალინის სერგეი კიროვით ჩანაცვლებაზე. სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ (1934 წ.) ძველ ბოლშევიკებს იოსებ სტალინის შემცვლელის ძიებაზე ხელი არ აუღიათ. სერიოზულად იხილებოდა სერგო ორჯონიკიძის კანდიდატურა. თუ სერგო ორჯონიკიძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორობა დაუმტკიცდებოდა, ეს იოსებ სტალინის ხელში სერიოზული კომპრომატი იქნებოდა. თუმცა გარკვევით უნდა აღინიშნოს: იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორების სანაცვლოდ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ დაადანაშაულებდა, ასეთ ჩრდილს არ მიაყენებდა. გარდა ამისა, ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად აღიარებით საქმე არ დასრულდებოდა. ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა: ვისი დავალებით მოქმედებდნენ ისინი? მკვლელობის დამკვეთის ვინაობა თავისთავად ცხადი გახდებოდა. უფრო სავარაუდოა, რომ იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას მართლაც მისცა მითითება ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა, მამხილებელი მასალების მოძიების თაობაზე, მაგრამ ეს მასალა გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, როგორც კომპრომატი სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ. ძიებას და სასამართლოს კი ოხრანკის ვერსია უნდა დაესაბუთებინა.

ილიას მკვლელობის საქმის ძიება გარკვეულწილად შეაფერხა ლავრენტი ბერიას მოსკოვში გადაყვანამ (1938 წ.). ამით ისარგებლა ფილიპე მახარაძემ და კიდევ ერთხელ სცადა ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების შეფერხება. მალე ფილიპე მახარაძე მკაცრად გააფრთხილეს და ისიც იძულებული გახდა მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) მიიღეს. პირველი მოწმეები 1941 წლის იანვარში დაიკითხნენ. გიგლა ბერბიჭაშვილი პასუხისგებაში მისცეს 1941 წლის 14 ივნისს (ომის დაწყებამდე რვა დღით ადრე). ომის დაწყებამ გამოძიება ვერ შეაფერხა. 1941 წლის ნოემბრის ბოლოს გამოძიებამ საქმე გადასცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს. 1941 წლის 27 ნოემბერს შედგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამზადებელი სხდომა. სასამართლო პროცესი დაიწყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

ცხადია, 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებას შეეძლო გადაედო გამოძიება და სასამართლო პროცესი. მაგრამ, ჩანს, იოსებ სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს.

და მაინც, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა. ყველა ჩვენება გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში (ოქმები, სტენოგრამები) იმ სახით შევიდა, როგორიც ეს ხელისუფლებას სურდა. დღეს შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა 1941 წელს ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ გამოძიებაც და სასამართლოც მივიდნენ დასკვნამდე: ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით განახორციელა ოხრანკამ.

1941-1942 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი, ისევე, როგორც 30-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ილიას მკვლელობის თაობაზე მიმდინარე მასალების მოკვლევა, იყო დადგმული სპექტაკლი. რით უნდა დამთავრებულიყო ძიება და რა განაჩენი უნდა გამოეტანა სასამართლოს, წინასწარ იყო ცნობილი.

მკვლელები

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ 1907-1909 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, სიმართლის დადგენის თვალსაზრისით 1907-1909 წლების მასალები უფრო საყურადღებოა, ვიდრე 1941-1942 წლებისა. 1907-1909 წლების მასალებში მცირე დოზით, მაგრამ მაინც აისახა სიმართლე. 1941-1942 წლების მასალები ისეა გაყალბებული, რომ სიმართლის დასადგენად თითქმის მთლიანად გამოუსადეგარია. ილიას მკვლელობის ისტორიის შესწავლა სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფერხდებოდა.

1941 წლისათვის ილიას მკვლელობის ორგანიზატორთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო ცოცხალი, მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან – აღარავინ, ილიაზე თავდასხმის მონაწილეთაგან (ტერორისტთაგან) კი – მხოლოდ გიგლა ბერბიჭაშვილი. რადგან ილია ოხრანკის მიერ მოკლულად უნდა გამოცხადებულიყო, ფილიპე მახარაძით გამოძიება და სასამართლო საჯაროდ ვერ დაინტერესებდოდა. რჩებოდა გიგლა ბერბიჭაშვილი. გადაწყდა: გიგლა ბერბიჭაშვილი უნდა გამოცხადებულიყო ოხრანკის აგენტების მიერ დაქირავებულ ილია ჭავჭავაძის ფიზიკურ მკვლელად, რომლის გასროლილმა ტყვიამაც სიცოცხლე მოუსწრაფა მწერალს. რადგან მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ცოცხალი აღარავინ იყო, ანუ აღარ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ტერორისტთა ჯგუფი შეადგინეს და ილიას გზაზე ჩაუსაფრეს, ძიებასა და სასამართლოს არ გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ილიას მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები ოხრანკის აგენტები იყვნენ და ოხრანკის დავალებით მოქმედებდნენ. ძალზე გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად, ძალზე არადამაჯერებელი იქნებოდა, გიგლა ბერბიჭაშვილის ოხრანკის აგენტად გამოცხადება. გამოძიებასა და სასამართლოს ეს არც უცდია. სამაგიეროდ, აუცილებელი იყო იმის „დადასტურება“, რომ გიგლა ბერბიჭაშვილი 1907 წელს არც რსდმპ წევრი, არც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმის“ წევრი და მეთაური ყოფილა, სოციალ-დემოკრატების დავალებით ტერორისტული აქტები არ განუხორციელებია, ხოლო 1921-1922 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მანდატი თაღლითობით მიიღო და პენსიაც თაღლითობით დაინიშნა. ყოველივე ამის „დამტკიცება“ გამოძიებამ და სასამართლომ „შეძლო“.

თუ გიგლა ბერბიჭაშვილი არც ოხრანკის აგენტი ყოფილა და არც რსდმპ წევრი, მაშ, ვინ იყო იგი? ამ კითხვაზე გამოძიებას და სასამართლოს ასეთი პასუხი ჰქონდა მზად: გიგლა ბერბიჭაშვილი იყო უიდეო, უზნეო, გახრწნილი, გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ოხრანკის აგენტებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

ასე იქცა გიგლა ბერბიჭაშვილი გამოძიებისა და სასამართლოსათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა (მკვლელობის დამკვეთი).

2. მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ (მკვლელობის ორგანიზატორი).

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).

4. ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს (მკვლელობის უშუალო მონაწილენი).

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკვლელობის დამკვეთი) – ოხრანკა (მკვლელობის ორგანიზატორი) – ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები) – ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილენი).

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად იცოდნენ ჭეშმარიტება, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ნებით განხორციელდა (მკვლელობის დამკვეთი).

2. მკვლელობა მოამზადა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (ის ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით (მკვლელობის ორგანიზატორები).

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).

4. მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელებმა შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელთაგან ორი რსდმპ წევრი და რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის უშუალო მონაწილენი).

5. გარდა ამისა, იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა გიგლა ბერბიჭაშვილმა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა მკვლელმა, რომელიც ტერორისტთა ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს თავდასხმის ორგანიზატორებმა. ილიას მკვლელი ქილერის ვინაობის დადგენა ოხრანკის ვერსიის დადასტურებისათვის სულაც არ იყო საჭირო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება და სასამართლო დიდი დარტყმა იყო ფილიპე მახარაძისათვის. თუმცა ის ამჯერადაც გადარჩა: გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ოხრანკის ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებამ გამორიცხა ილიას მკვლელობის ორგანიზატორად ფილიპე მახარაძის მიჩნევა. ფილიპე მახარაძეს აშკარად ბედი სწყალობდა! თუმცა ილიას მკვლელობის ორგანიზატორი სხვაგვარად ფიქრობდა: არავინ უწყოდა, რას გადაწყვეტდა, რას მოიმოქმედებდა იოსებ სტალინი, რა გაგრძელება ექნებოდა იმ ფარსს, რომელიც 1941-1942 წლებში გათამაშდა. ფილიპე მახარაძე ორჯერ (1907 წელსა და 1941 წელს) გადაურჩა სასჯელს. მესამედ ბედს აღარ მიენდო და საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა

გ.ბერბიჭაშვილი

ფ.მახარაძე ბოლშევიკებთან.
ახალციხის მუზეუმის ფონდიდან

განაჩენი: თავი ჩამოიხრჩო.

ოფიციალური ცნობით, სერგო ორჯონიკიძე გულის დაავადებით გარდაიცვალა. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია იმის თაობაზე, რომ ის აიძულეს, თავი მოეკლა. მესამე ვერსიით სერგო ორჯონიკიძე კეფაში ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა საკუთარ ბინაში. ის მოსკოვში, წითელ მოედანზე კრემლის კედელთან დაკრძალეს. ოფიციალური ცნობით ფილიპე მახარაძე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მან თავი ჩამოიხრჩო.

იოსებ სტალინს არ უყვარდა ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. რა იყო ამისი მიზეზი, სამივემ კარგად უწყოდა. სამივემ საიდუმლო თან წარიტანა სამარეში.

***

მართალია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ჟენევაში, პარიზში), მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ უხსნის პასუხისმგებლობას ქართველ საზოგადოებას, რომელიც წინ ვერ აღუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროებას – ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე. უფრო მეტიც, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიზლა – საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ ღმერთმა უწყის ჭეშმარიტება: იქნებ ქართველთა განწყობილებამაც იქონია გარკვეული გავლენა ჟენევასა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ.

***

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაში სადღეისოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

პირველი. ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) მყოფმა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ (იმხანად ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები ერთ პარტიად იყო გაერთიანებული).

მეორე. ილიას მოკვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა მისი არჩევა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად (1906 წ.), ასევე ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მხარდაჭერა ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი და, საერთოდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას და მისი განხორციელების შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცეოდა, რასაც ვ. ლენინი და მისი თანამოაზრეები ვერ დაუშვებდნენ.

მესამე. რსდმპ ხელმძღვანელობამ მკვლელობის დამკვეთის ვინაობის უკეთ დაფარვის მიზნით ილიას მკვლელობის ორგანიზება არ დაავალა რსდმპ თბილისის კომიტეტს (კომიტეტში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მოღვაწეობდნენ), რომელსაც ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია გააჩნდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (იგი ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ილიას მკვლელობის ორგანიზება დაავალა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს (არც ერთი მათგანი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა), რომელთაც მიღებული ინსტრუქციის თანახმად, საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ რსდმპ თბილისის კომიტეტი.

მეოთხე. ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის აუცილებელი ფული სოციალ-დემოკრატებმა საზღვარგარეთიდან შემოიტანეს, ექსპროპრიაციის გზით საქართველოში არ მოუპოვებიათ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ჟანდარმერიასა და ოხრანკას ეჭვი არ აეღო, ექსპროპრირებული ფულის კვალს არ გაჰყოლოდა და მკვლელობის ორგანიზატორები არ დაედგინა.

მეხუთე. ილიას მკვლელობის დამკვეთის დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტულ აქტამდე დაყარეს ხმები იმის თაობაზე, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, მკვლელობის დღიდანვე კი სოციალ-დემოკრატები ძალზე ოსტატურად ავრცელებდნენ სხვადასხვა ხმას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს:

ა). ყაჩაღებმა ძარცვის მიზნით;

ბ). ადგილობრივმა გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე;

გ). სომეხმა ნაციონალისტებმა ეროვნული შუღლის გამო;

დ). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით. სოციალ-დემოკრატებმა მკვლელობის დამკვეთის ვინაობა საბოლოოდ მაინც ვერ დამალეს, მაგრამ ილიას მკვლელობის პირველ დღეებში ხელისუფლება, საზოგადოება და ძიება სერიოზულად დააბნიეს.

მეექვსე. სოციალ-დემოკრატებს ილია შეეძლოთ მოეკლათ საკუთარ სახლში (თბილისში, საგურამოში) ან გზაზე, ეტლით მიმავალი. ამისათვის საკმარისი იყო ჩასაფრებული პროფესიონალი ქილერის ერთი გასროლა. ამ გზით განხორციელებული ტერორისტული აქტი სოციალ-დემოკრატებს ხელს არ აძლევდათ. ილია უნდა მოეკლათ ადგილობრივ გლეხებს აშკარა ყაჩაღური თავდასხმით, ხოლო მოკლული უნდა გაეძარცვათ. ეს მკვლელობის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემდა, გაევრცელებინათ ხმები, რომ ილიას ფიზიკურად გაუსწორდნენ ან ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე.

მეშვიდე. დამკვეთისა და ორგანიზატორების დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტული აქტი შემდეგნაირად განახორციელეს: ადგილობრივმა გლეხებმა: გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა), გიგლა (ლომა) ხიზანიშვილმა 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურსა და სოფელ საგურამოს შორის (საგურამოდან ოთხ ვერსზე) თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის ეტლი გააჩერეს. ამაში ტერორისტებს დაეხმარა მათი თანამზრახველი, ილიას მეეტლე თედო ლაბაური. სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ გლეხებმა ეტლი გააჩერეს (ეს ფაქტი ძიებას კიდეც დაუდასტურეს თედო ლაბაურმა და ილიას მეუღლემ). მკვლელობის ორგანიზატორებს აფიქრებდათ ერთი გარემოება – გლეხები, რომლებიც ეტლს გააჩერებდნენ, პროფესიონალი ქილერები არ იყვნენ. ისინი დემორალიზებული, გადაგვარებული ადამიანები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა (არაპროფესიონალმა ქილერებმა) ფული აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში მემამულის მკვლელობა გადაიფიქრეს და მხოლოდ ძარცვით დაკმაყოფილდნენ. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმისასაც. სწორედ ამიტომ ილიას ეტლის გაჩერების სავარაუდო ადგილზე მკვლელობის ორგანიზატორებს მზად ჰყავდათ დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერი (იგი ეროვნებით ქართველი იყო). გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ეტლი გააჩერა, ფეხზე წამომდგარ ილიას კი ზურგის მხრიდან, სავარაუდოდ, გზის მარცხენა ნაპირიდან, ესროლა ჩასაფრებულმა ქილერმა. ქილერმა ერთადერთი ტყვია გაისროლა. ტყვია ილიას სხეულში შევიდა მარცხენა ნეკნების მხრიდან, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მარცხენა ძუძუსაკენ). ცეცხლსასროლი იარაღით (ტყვიით) მიყენებული სხვა ჭრილობა ილიას სხეულზე არ აღმოჩნდა. ქილერის ჩასაფრების შესახებ არაფერი უწყოდა გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა, ქილერმა კი ზუსტად იცოდა, თუ სად გააჩერებდნენ გლეხები ეტლს. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას, მისი არსებობა არ შეუტყვია არც ძიებას და არც სასამართლოს.

შეიძლება თუ არა დადგინდეს იმ ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ილიას ზურგიდან ესროლა? იმხანად ტერორისტულ პრაქტიკაში ასეთი წესები მოქმედებდა: ყველა ტერორისტს ჰქონდა თავისი „ხელწერა“, ე.ი., ტერორისტი მსხვერპლს კლავდა მისთვის დამახასიათებელი გასროლით. ასეთი გასროლის ნიმუშები იყო: ერთი ტყვია კეფაში, ოთხი ტყვია ზურგში, ორი ტყვია მკერდის არეში, სამი ტყვია მუცლის არეში, ერთი ტყვია შუბლის არეში და ა. შ. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტერორისტი ერთი „ხელწერით“ მოქმედებდა. მაგრამ იმგვარი გასროლით, როგორითაც ილია მოკლეს (სხეულში მარცხენა ნეკნებს შორის შესული ტყვია გამოვიდა მკერდის არეში მარცხნივ, ძუძუს დვრილთან). იმხანად (1905-1907 წწ.) მხოლოდ ორი ტერორისტი სარგებლობდა ასეთი „ხელწერით“. ერთი მათგანი 1907 წლის აგვისტოსათვის ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა და საქართველოში გვიან დაბრუნდა. მეორე 1907 წლის იანვრიდან აგვისტომდე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებული თბილისის, ქუთაისისა და ბაქოს გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების აგენტურული სამსახურის მასალების მიხედვით, არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, ბათუმში, ბაქოში და ბათუმი-თბილისი-ბაქოს მარშრუტით გადაადგილებისას ხშირად იკარგებოდა ჟანდარმერიის თვალთახედვის არედან. ეს ტერორისტი შედიოდა იმ 50-55 ტერორისტის რიცხვში, რომელთაც, პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკოსთა დასკვნით, შეეძლოთ ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერორისტი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ილია მოკლა, ჟანდარმერიის თვალთახედვიდან გაქრა 1907 წლის 17 აგვისტოს. ამ დღეს იგი ჟანდარმერიის აგენტმა ბათუმის ნავსადგურში ნახა. ჟანდარმერიის თვალთახედვის არეში ტერორისტი კვლავ მხოლოდ 1907 წლის 21 დეკემბერს მოხვდა, ე.ი. ილიას მკვლელობიდან სამი თვისა და ოცდაერთი დღის შემდეგ. სავარაუდოა, ტერორისტმა „ფსკერზე ჯდომა“ გადაწყვიტა, ე.ი. გადაადგილებისა და ტერორისტული საქმიანობისაგან განგებ იკავებდა თავს. ეს ტერორისტთა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ისეთ მასალას, რომელიც დაამტკიცებდა, რომ საქართველოში იმავე „ხელწერით“ სხვა ტერორისტიც მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, კატეგორიული დასკვნის გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ზემოხსენებულ ტერორისტს, პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ უმტკიცდება. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია საფუძველი გამოაცალოს ჩვენს ვერსიას, რადგან 1907 წლის 17 აგვისტოდან 21 დეკემბრამდე პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ცნობა ტერორისტის შესახებ არ მოეპოვება, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა კი სწორედ ამ პერიოდში მოხდა.

სოფელ კორინთოს

სერიიდან: „ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებული სოფლები“

კორინთა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე, ახალგორიდან 7 კილომეტრის დაშორებით. იგი გახლავთ სათემო ცენტრი სოფლების: გეზევრეთი, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხერკელაანი.

ვახუშტის აღწერით: *„ზებეყურის მთა არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა. ამ კლდეს ქუეით მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა“.* კლდე, რომელზეც ვახუშტი საუბრობს, კორინთის კლდის სახელითაა ცნობილი, ამდენად მას მიიჩნევს ქსნის ხეობის მთისა და ბარის რეგიონების გამყოფად. **გ. ჩიტაიას** მიხედვით კი *„ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე - ახალგორი - დ.ა.), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვის ზევით)“.* მკვლევარის დაყოფით, კორინთას მთის ძირის მეურნეობა შეეფარდება. ამიტომაც მიგვანიშნებდა **ლ. გვრიტიშვილი,** მაღალ კონცხზე მდებარე სოფელი *„ვახუშტისეულ „ვენახოვან, ხილიან, მოსავლიან“ და გ. ჩიტაიას მიერ დადგენილ მთის ძირის სამეურნეო ზონაშია მოქცეულიო“.*

გადმოცემით, სოფლის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს საბერძნეთის კორინთოსთან. 2005 წლის 12 მაისს, ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარს **ვიტალი ქენქაძეს** კორინთაში მცხოვრებ *ნესტორ ზაქარიას ძე თინიკაშვილისაგან (დაბ., 1925 წელს)* ჩაუწერია სოფელთან დაკავშირებული თქმულება: *„ეს სოფელი ადრე სხვა სახელის მატარებელი ყოფილა. აქ კორინთოდან მოუვლენიათ მისიონერი ქრისტიანობის გასამტკიცებლად. მოსულა, დასახლებულა, ძალზე მოსწონებია აქაური ზვარი, ბაღი, ბოსტანი და კმაყოფილს უთქვია: ძალიან ჰგავს კორინთოს, სწორედ მეორე კორინთოა. მერე დაერქვა კორინთა“.* კორინთის სახელწოდებას ანტიკური ხანის ელინურ ტოპონიმ კორინთოს ადარებს ქართული გვარ-სახელების ცნობილი მკვლევარი **ილია მაისურაძეც.**

კორინთა გახლდათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და ქართლის სამეფოს სოფლების ერთ-ერთი გზაგასაყარი. ახალგორიდან იკოთის გავლით კორინთის მიმართულებით მიმავალი „საქალაქო გზა“ ჟამურის ხეობამდე აღწევდა, ხოლო ქარჩოხის ციხესთან უერთდებოდა ლომისის მთას, საიდანაც გზა მიდიოდა არაგვის და დარიალის ხეობებში, დარიალიდან კი – ჩრდილოეთ კავკასიაში. ასევე ახალგორიდან კორინთის გავლით მიმავალი გზა უკავშირდებოდა ალევის ხეობას, საფერშეთსა და ფასანაურს. მისმა მდებარეობამ განსაზღვრა IX-X საუკუნეებში ძლიერი ფეოდალური გვარის კორინთელების აღზევება. პროფ. **ნ. შოშიაშვილის** მიხედვით: გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობაში მდებარე ადგილის – კორინთის სახელიდან. კორინთელები ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარებას. მაგალითად, X საუკუნის I ნახევარში დაჩი კორინთელმა ქართლისა და კახეთის სხვა ფეოდალებთან ერთად აფხაზთა მეფის გიორგი II-ის მიერ დაპყრობილი კახეთის ციხეები კვლავ ხელში ჩააგდებინა კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს და ამით ხელი შეუშალა აფხაზთა მეფეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. გვიანდელ შუა საუკუნეებში კორინთელები დაემცრნენ და უკვე აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდნენ. სწორედ დაჩი კორინთელი მოიხსენიება ამ გვარის წარმომადგენელთა შორის პირველად ისტორიულ წყაროებში. კორინთელი მოხსენიებულია აგრეთვე როგორც მოწმე უცნობი პირის მიერ სარკინის მონასტრის წინამძღვრისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა, რომელსაც მკვლევარები სხვადასხვა პერიოდით ათარიღებენ. **ვახუშტი ბატონიშვილი** კორინთელებს მოიხსენიებს ძველ მთავართა გვარებს შორის. ასევე მოხსენიებულნი არიან საქართველოს აზნაურობის ოფიციალურ სიაში, რომელიც შეტანილია 1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ და დამტკიცებულ ე.წ. „ბარხატნაია კნიგაში“ (ხავერდოვანი წიგნი)...

XVIII საუკუნეში აზნაური კორინთელები ლეხურის ხეობაში აარსებენ სოფელ საკორინთლოს, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემს ეკუთვნის და კასპიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული... კორინთლიანთ სოფელს უწოდებდნენ ასევე ილტოზას. ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერის მიხედვით *„კორინთლიანთ სოფელი რ(ომე)ლსა ილტოზა ეწოდება“* მეფის ძის იოანეს სააზნაურო მამული იყო. ილტოზა, იგივე ირტოზა, როგორც ძველ წყაროებშია მოხსენიებული და მათ შორის, ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში, მდებარეობს ქსნის ხეობაში და მიეკუთვნება დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემს, დუშეთიდან დაშორებულია 22 კილომეტრით.

წილკნელის „ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელში“, რომელიც 1669 წლით თარიღდება, ჩანს, რომ „ირტოზის“ მებატონეები ქსნისხეველი აზნაურები კორინთლები იყვნენ:

„ქ. ქსანზედ ი რ ტ ო ზ ა ს კორინთლეები, თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი – ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, აგრევე დედაკაცზედ საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა (ქალის წამოსასხამი - დ.ა.), კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, ორი წასახურავი წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცრ(ო)სი მოკვდეს, ან უცულო, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახური მიართონ“ - ვკითხულობთ სიგელში. ძველი ილტოზა, რომელიც ლეკიანობის გამო XVIII საუკუნეში ნასოფლარად იქცა, ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, ლამისყანის მოპირდაპირედ, ქსოვრისა და ოძისს შორის. ახალი ილტოზა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაუშენებიათ.

იქვე ცალკეა საუბარი საკუთრივ სოფელ კორინთაზე:

„ქ. კ ო რ ი ნ თ ა ს: ღვდელსა და სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება. სახუცო ნახევარი ხარი. დრამა კომლზედ შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლეს ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.“

კორინთა ქსნის ხეობის ჩრდილოეთით ბოლო სოფელი იყო, რომელსაც წილკნელის სარგო ჰქონდა დაკისრებული. ცხადია, იგი ამ პერიოდში დასახლებული იყო, მაგრამ იქ მცხოვრებთა მემკვიდრეები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერებში აღარ ჩანან...

რაც შეეხება აზნაურ კორინთელებს, ისინი რამდენჯერმე მოიხსენიებიან ქსნის ერისთავების მეცხრამეტე საუკუნის გაყრის წიგნებში: 1807 წლის 2 ივნისის გაყრილობის სიგელით, სადაც საუბარია ერისთავთა გვარში აზნაურების, გლეხებისა და მამულების „შეფარდებაზე“, თავად შანშე ერისთავის წილხვედრ აზნაურებს შორის ვხვდებით დათუა კორინთელს „თავისით და თავის სახლისკაცის მამულით და ზურაბს თავის მამულით“.

კორინთაში ცხოვრობდნენ გიორგი ერისთავის წინაპრები. პროფ. **ს. ხუციშვილსა** და **ვ. ქენქაძეს** შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ცნობილი დრამატურგი და ეროვნული მოღვაწე დაბადებული ყოფილიყო სოფელ კორინთაში, პაპის როსტომის მიერ აშენებულ სასახლეში. როსტომი იყო დავით ქსნის ერისთავის (1753-1774) უფროსი ვაჟი. ძმებს შორის ქონების გადანაწილების დროს წილად ხვდა კორინთა. როსტომს თავის მხრივ ორი ვაჟი ჰყავდა: დავითი და შალვა. დავითი შემდგომში სოფელ ოძისში დამკვიდრდა. როსტომის სასახლემ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მის ნასახლარზე მოგვიანებით სხვადასხვა ოჯახები დასახლდნენ, თუმცა ადგილობრივთა ხსოვნას დღემდე შემორჩა ტოპონიმი – „როსტომის ნასახლარი“. 1856 წლის ზაფხულში როსტომისეულ სასახლეში სტუმრად მყოფი გიორგი ერისთავის მეუღლე მართა დავითის ასული თარხან-მოურავი იხსენებს: *„ავიყარენით და წავედით. ორ საათის სავალი იყო. ავედით ერთ მაღალ გორაზე. დგას ერთი პატარა გალავანი. შიგ სახლებით. მშვენიერი საყურებელია მდინარე ქსანი დასავლეთით და სამხრეთით. სახლის ქვემოთ პატარა ბნელი ოთახები იყო, ზევიდან კი კარგი ოთახები, ექვსი ოთახი, ერთი კარგი ზალა, ზევიდან ამასაც ფიცარი (ყავარი. ვ.ქ.) ხურვია. სულ ქარს აუგლეჯია და ჩამოდის წვიმა, როგორც გარეთ ისე შინ. გალავანს შიგნით ერთი პატარა ეკლესია იყო, საკუთარი ღვდლით. ამ ეკლესიის წინ ერთი ძირი კაკალი ედგა და ერთი ცაცხვის ხე. ამ გალავანში ერთი კომლი ნაყმევები გლეხი კაცი იდგა“.* ეს მოგონება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სასახლეზეც და იმ მდგომარეობაზეც, რაშიც ეს სასახლე იყო. პატრონები, როგორც ჩანს, მხოლოდ ზაფხულში აკითხავდნენ და თანდათანობით ზიანდებოდა... გალავნის შიგნით პატარა ეკლესია, რომელსაც მართას დროს საკუთარი მღვდელი ჰყოლია, წმინდა მარინეს სახელობის იყო, რომლის გვერდითაც ყოფილა ასევე კიდევ ერთი ძველი ეკლესია... კორინთის ცენტრში აგებულ ამ შესანიშნავ ძეგლს ლ. გვრიტიშვილი ადრექრისტიანულ პერიოდთან აკავშირებს და მაღალი რანგის მშენებლობად მიიჩნევს: *„ეკლესიას გააჩნია V-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც. კერძოდ ის, რომ მასში შიდა სივრცე პილასტრებითა და საყრდენი თაღებით არ არის დანაწევრებული“.* ერისთავების სასახლის სათოფეებით აღჭურვილი გალავანი 5 მეტრი სიმაღლისა და 25 მეტრი სიგრძის ყოფილა, რომლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მრგვალი კოშკის ძირითადი ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიის ეზოში ძველი საფლავებია. **ვ.ქენქაძე** მიგვანიშნებს, რომ გადმოცემით, აქ ინახებოდა ალევის წმინდა სამების საგანძური. როგორც ალევზე საუბრისას აღვნიშნეთ, ეს 40-მდე ძვირფასი ნივთი სწორედ კორინთის ეკლესიაში უნახავს და აღუწერია ექვთიმე თაყაიშვილს, შემდეგ კი ისინი ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში გადაიტანეს. ექვთიმეს ერისთავების კარის ეკლესიაში უნახავს ასევე კანკელი (ტიხარი, რომლითაც საკურთხეველი გამოყოფილია ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან), რომელიც მარიამ ერისთავს მოუხატვინებია. მარიამი იყო ივანე ქობულაშვილის ასული (1786-1848) და დავით როსტომის ძე ერისთავის მეუღლე, გიორგი ერისთავის დედა: *„ქ. შემოგწირე კარისა ჩემის ეკლესიას კორინთას წმინდის მარინესას. კნეინა მარიამ ერისთოვისამ კანკელი ესე სულთა და ხორცთა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ და გარდაცვალებულისა მეუღლისა ჩემისა დავით ერისთვის მოსახსენებლად“.* ექვთიმე წარწერას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. მარიამის მეუღლე დავითი 1830 წელს გარდაიცვალა. შესაბამისად, იგი შესრულებული უნდა იყოს 30-იანი წლების დასაწყისში ან შემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა მარინეს ეკლესია შემდგომში დაზიანებულა... მოსახლეობას სოფლის ცენტრში აღუდგენია ტაძარი, რომელსაც წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებდნენ. როგორც ქალბატონმა ლედი ნათაძემ გვითხრა, მამამისის – გიორგი თედოს ძე ნათაძის სახელზე (რომელიც ათეული წლების მანძილზე კორინთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა) დაბადების მოწმობა 1913 წელს გაუციათ და მისი გამცემი წმინდა გიორგის სალოცავი იყო... ეკლესიაში ძველი ნივთებიდან აღარაფერი ყოფილა შემორჩენილი, საეკლესიო ნივთები მოგვიანო პერიოდისაა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში წმინდა გიორგის სალოცავში ჯერ სოფლის მაღაზია განათავსეს, შემდეგ როგორც ეზოში, ისე ტაძარში კინოჩვენება ეწყობოდა... ვასილ ალექსანდრეს ძე მილაძის ცნობით, წმინდა გიორგის სალოცავს ბოლოს რესტავრაცია 2000-იან წლებში ჩაუტარდა. წმინდა მარინეს სახელობის კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთი დღემდეა შემორჩენილი სოფლიდან მოშორებით, ქედზე, სადაც, ლ. ნათაძის ინფორმაციით, მოსახლეობა ამაღლების დღესასწაულს აღნიშნავდა. მომლოცველები საცალფეხო ბილიკებით მიუყვებოდნენ ტაძრისაკენ მიმავალ გზას... ბუნებრივია, ერისთავთა საცხოვრებლიდან შორს, მაღალი მთის ქედზე მდგარი, რთულად მისასვლელი ტაძარი ვერ იქნებოდა მათი კარის ეკლესია, რომელსაც მარიამმა

ტაძრისეული

კანკელი შესწირა და რომელზეც გიორგი ერისთავის მეუღლე საუბრობს...

გარდამავალ ხანას მიეკუთვნება კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი – ალეურას ხეობაში მდებარე დარბაზული ეკლესია, გალავნის ფრაგმენტებით. სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით ნაგები კედლები 2-3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი...

მეთვრამეტე საუკუნის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით ეს სოფელი ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროისთვის იქ, ძირითადად, სოფელ თინიკაანიდან გადასახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი სახლობდა.

1774 წლის აღწერით კორინთაში ცხოვრობდნენ:

„ქ: თინიკანთ მამუკას შვილი კომლი ა. თავი ა მახარებელი;

აქავ თინიკანთ გიორგის შვილი კომლი ა. თავი ბ იოსებ და გამიხარდი;

აქავ თინიკანთ ავთანდილის შვილი კომლი ა. თავი ბ გაბიდური (გაბიდაური - დ.ა) და მახარებელი;

აქავ თინიკანთ მამუკას შვილის ივანეს ობოლი (თავი) ბ ბერუკა და მამუკა.“

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი გ თავი ე

იქნა მემკვიდრის ობლის ჯამი თავი ბ“.

თინიკაშვილების 4 ოჯახში 7 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. სავარაუდოდ, ისინი მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ ქარჩოხიდან. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თინიკაშვილების დასახლებამდე კორინთაში სხვა, აბორიგენი მოსახლეობა სახლობდა. ამ მხრივ საყურადღებოა ეკატერინე გაბრიელაშვილის მონათხრობი, რომლის მიხედვით, სწორედ მისი წინაპრები ყოფილან სოფლის ძველი მოსახლენი: *„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სანამ ამ ციხესიმაგრის ტიპის ისტორიულ სოფელში თინიკაშვილებს ჩამოასახლებდნენ, აქ ძველი მოსახლეობაც სახლობდა, მათ შორის იყვნენ ჩემი წინაპრები დედის მხრიდან, ბიბილურები, რომლებიც დაკრძალულნი არიან კორინთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში. ისინი იყვნენ კორინთის დიდი მამულების მფლობელები და თინიკაშვილების ჩამოსახლების შემდეგ მოხდა ერთ-ერთი ბიბილურის, დიდი ბებიის ძმის მკვლელობა ამ მამულების გამო“... ბიბილურები საეკლესიო მოღვაწენი ყოფილან. დავით გიორგის ძე ერისთავის თანამედროვეა (1847-1890) კორინთის ეკლესიაში მოღვაწე ერთ-ერთი დიაკვანი გიორგი ბიბილური, რომელიც მონაწილეობდა დავითის მიერ ოძისში მოწყობილ თეატრალურ წარმოდგენებში. მიხეილ ცაგარელის მოგონებით, რომლის დეიდის ქმარიც იყო კორინთელი დიაკვანი, „დავით ერისთავს თავის მფლობელობაში მყოფ სოფელ კორინთაში, ადგილობრივ ეკლესიაში დიაკვნად მიუვლენია გიორგი ბიბილური, მიუცია მოზრდილი ბაღ-ვენახის ნაკვეთი, სადაც სიკვდილამდე დარჩენილა თავისი ოჯახით. მისი გარდაცვალების მერეც ერისთავების მემკვიდრეთაგან არავინ შესცილებია. კორინთის დიაკვანი ბიბილური კარგი სტუმართმოყვარე ფოკუსნიკი და გართობის მოყვარული კაცი ყოფილა. სტუმრებს ხშირად უმასპინძლდებოდა მდინარე ალეურაზე დაჭერილი ცოცხალი თევზით. სრულებით არ აინტერესებდა კარიერა. ლაღი ბუნების ადამიანს უფრო ხალხის ჭირ-ვარამზე ყვარებია საუბარი“.* ცაგარელის მიხედვით, ბიბილური დავითს მიუვლენია კორინთაში დიაკვნად და მიუცია ნაკვეთი, რაც მიგვანიშნებს, რომ მან ეს ყველაფერი ერისთავისგან მიიღო და არა მემკვიდრეობით. თუმცა ბიბილურთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლის დიაკვნად არჩევა და მისთვის მამულის ბოძება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მართალია, ბიბილურებს ჩვენ ვერც ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ვხვდებით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სოფლის მკვიდრთა ვერსიას, რომლის მიხედვით ბიბილურები კორინთის ადრინდელ, მკვიდრ მაცხოვრებლებად მიიჩნევიან. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით სწორედ ბიბილურები, კერძოდ, როსტომი უნდა ყოფილიყო ერისთავთა საგვარეულოსა და ქვენიფნეველთა შტოგვარის დამფუძნებელი. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ქსნის საერისთავოს წარმოშობისა და ერისთავთა წარმომავლობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო და ამაზე ვრცლად ვისაუბრეთ 2006 წელს გამოცემულ ახალგორისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში... ბიბილურები საქართველოში ცნობილი ისტორიული გვარია და უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან ბიბილა, ამავე ძირისაა ბიბილაური, ბიბილაშვილი, ბიბილურიძე, ბიბილაია. ბიბილურების უმრავლესობა ცხოვრობენ თბილისში, გორში, ბორჯომსა და ქარელში...

დავუბრუნდეთ ისევ მეთვრამეტე საუკუნის ქსნის საერისთავოს აღწერებს: 1783 წლის მონაცემებით კორინთაში მცხოვრებ კომლთა რიცხვი უკვე 6-ია, აქედან 5 კომლი თინიკაშვილები, რომლებიც მამიშვილობით არიან მითითებულნი და ერთი კომლი – ზანგურაშვილები. მათ შორის ერთი სასულიერო პირია. მამაკაცთა რაოდენობა 12-ია, წინა აღწერასთან შედარებით ორჯერ გაზრდილი:

„ქარჩოხს კორინთიდამ ამისივე (აბრამ თინიკაშვილის - დ.ა.) სახელო;

ქ. ავთანდილის შვილი კომლი ა. თავი ბ მახარებელი და გაბიდაური;

აქავ გიორგის შვილი კომლი ა. თავი ბ იოსებ და გამიხარდი;

აქავ კაციას შვილი კომლი ა თავი ა ბერი;

აქავ ზანგურას შვილი, კომლი ა თავი ე ივანე ოთარა იესე პეტრე მღვდელი დემეტრე;

აქავ მამუკას შვილი კომლი ა თავი ა მახარებელი;

აქავ მამუკას შვილი კომლი ა თავი ივანე შეუძლებელი (ივანე მორიგობის შეუძლებელი ყოფილა, მორიგე ჯარში ვერ გაიწვევდნენ - დ.ა.).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ავთანდილ თინიკაშვილის ერთ-ერთი ძის საკუთარი სახელი გაბიდაურია, ფშავიდან ქსნის ხეობაში გადმოსული თინიკაშვილების ადრინდელი გვარი საკუთარ სახელადაა ქცეული...

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში კორინთა იოანე ბატონიშვილის სააზნაურო მამულების სიაშია. კორინთის მოსახლეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით იოანეს 1803 წლის საუფლისწულოს აღწერის შეჯამებით ცნობებშიც, რომლის მიხედვით, სოფელში მცხოვრები 6 კომლიდან 17 მამაკაცი და 10 ქალია.

6 კომლია მითითებული 1804 წლის კამერალურ აღწერაშიც. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებისაგან განსხვავებით, კორინთა ქარჩოხის მოურავის სახელოდ აღარ იხსენიება, 6 კომლიდან 5 კომლი ქსნის ერისთავის მფლობელობაშია, 1 კომლი - ფიცხელაურის:

აქ მცხოვრები ქართველები:

1. მახარაბელი თინიკა შვილი, 10 მამაკაცი, 10 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს 1 ლიტრა ყველი, 1 ლიტრა კარაქი, სულ 3 მანეთი და 20 კაპიკი.

2. საბუჯური *(გაბიდაური - დ.ა.)* თინიკა შვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, 1 წისქვილი, 1 ბაღი, მოჰყავს 18 კოდი პური, 360 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

3. გიორგი თინიკაშვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

4. პეტრე თინიკაშვილი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 1 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 წისქვილი, 1 ბაღი, მოჰყავს 20 კოდი პური, 240 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

5. მახარაბელი ზანგელაშვილი *(ზანგურაშვილი - დ.ა.)*, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 20 კაპიკი.

თავად ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 5 ოჯახი, 23 მამაკაცი, 19 ქალი, მათ მფლობელობაშია 24 დღის სახნავი მიწა, 14 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 11 თივა, 2 წისქვილი, 5 ბაღი, 1260 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვთ 16 მანეთი.

მემამულე გოგი ფიცხელაუროვის (რუსული დაბოლოებითაა - დ.ა.) მიწაზე მცხოვრები:

1. გოგი ზანგელაშვილი *(ზანგურაშვილი - დ.ა.)* 4 მამაკაცი, 3 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, სახაზინო გადასახადი არ გადაუხდია, მემამულეს გადაუხადა 2 ცხვარი და თითო ლიტრა ყველი და კარაქი, სულ: 3 მანეთი და 20 კაპიკი.

სულ კორინთაში ცხოვრობს 6 ოჯახი, 27 მამაკაცი, 22 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 16 დღის – სახნავად გამოუყენებელი. 11 თივა, 2 წისქვილი, 6 ბაღი, 1320 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 19 მანეთი და 20 კაპიკი.

გადასახადს მემინდვრეობით და მეცხოველეობით იხდიან.

თვალშისაცემია მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. თუ XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კორინთელთა 6 ოჯახში 11 მამაკაცი ცხოვრობდა, ახალი საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 27 იყო. ვხვდებით დიდ ოჯახსაც, რომლის რიცხვიც 20-ს აღწევს. ზოგადად, დიდი ოჯახები ქსნის ხეობისთვის დამახასიათებელია. რამდენიმე თაობა ხშირად ერთმანეთის გვერდით, ერთჭერქვეშ ცხოვრობდა. მოსახლეობის ზრდა შესამჩნევია მომდევნო წლებშიც... კორინთელი უნდა ყოფილიყო XIX საუკუნეში სამების ეკლესიისთვის ვერცხლის ჯვრის ერთ-ერთი შემწირველი გლახა თინიკაშვილი, რომელიც მოხსენიებული ჰყავს ექვთიმეს სამებიდან კორინთის ეკლესიაში გადმოტანილი ნივთების აღწერისას. 1807 წლის 1 ივნისის მიხეილ და შანშე ერისთავების გაყრის წიგნის მიხედვით, კორინთა თავის მამულითა და მოსახლე კაცით მიხეილ ერისთავსა და მის ძმებს ხვდათ წილად.

ვასილ ალექსანდრეს ძე მილაძის ინფორმაციით: XX საუკუნის შუა წლებში სოფელი კორინთა ორ – ძველ და ახალ უბნებად გაიყო. ძველი უბანი, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა და მდინარე ალეურის მარჯვენა სანაპიროზე, ახალი უბანი – მდინარეების ქსნისა და ალეურას მარცხენა სანაპიროზე.

ძველი კორინთა გალავნის შიგნით იყო მოქცეული და ქალაქური სტილის დასახლება გახლდათ, იქ მცხოვრებლებს დიდი ეზოები არ ჰქონდათ, შუკები და მოკირწყლული პატარა ქუჩები იყო, სახლი სახლზე მიდგმული, ისევე, როგორც ძველი ციხე-გალავნის შიგნით არსებული ტიპის დასახლებებში. დღემდე შემორჩენილია გალავნის ნანგრევები და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

კორინთის ძველ უბანში ყველაზე მეტი თინიკაშვილები ცხოვრობდნენ... ძირითადად, XX საუკუნეში არიან ჩამოსახლებულები: მილაძეები, ღუნაშვილები, გაბრიელაშვილები, ხერკელაძეები, მწითურები, ნათაძეები, თათარაშვილები... მათ ადრინდელ განსახლების არეალს წარმოადგენდა ქვემო და ზემო ალევი, ასევე გუდანვერი. უშუალოდ მილაძეები ალევში საძეგურიდან არიან მოსულები, ხოლო საძეგურში – ხრომისწყაროდან. ბიტიაშვილების ძველი სამკვიდრო ქსნის ხეობის სოფელი ქურთაა, რომელიც კორინთის მოპირდაპირედ ქსნის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.

კორინთის ახალი უბანი, ოჯახების გაყოფის შემდეგ ახალი კომლების დასახლებებით არის შექმნილი და თარიღდება XX საუკუნის შუა პერიოდით...

ვასილ მილაძის ინფორმაციას ამყარებს სოფლის მკვიდრის *ინგა თათარაშვილის* მონათხრობი: „კორინთა ორ პატარა სოფელს ჰქვია, ხიდს გაღმა-გამოღმა; 1. ქედზე შეფენილი უძველესი ისტორიული კორინთა, თავისი ისტორიით, ეკლესიით, ციხე სიმაგრის ნაშთებით და ასევე ძველი, ადგილობრივი მაცხოვრებლებით დასახლებული; 2. კორინთა (კბილური, როგორც ძველი მაცხოვრებლებისგან ვიცი) ქვემო ალევის ბაღ-ვენახებში გაშენებული და ასევე დასახლებულია ქვემო და შუა ალევიდან, ყოჩიანიდან, ხერკელაანიდან და ზემო ქურთიდან უგზოობას გამორიდებული მოსახლეობით."

კორინთაში XVIII საუკუნიდან მოსახლე თინიკაშვილების შთამომავლის *ანა თინიკაშვილის* გადმოცემით „ახალი კორინთა ანუ კბილურები, ისტორიული წყაროების მიხედვით იყო ძველი კორინთელების, კერძოდ, ქსნის ერისთავების მოურავის აბრამ თინიკაშვილის და მისი შთამომავლობის ადგილმამულები, რომელიც გასაბჭოების დროს ჩამოართვეს. თუმცა ძველი მამულის ნაწილი თინიკაშვილების გვარის რამდენიმე წარმომადგენელს ახლაც აქვს შემორჩენილი. ზოგმა გაყიდა, ზოგიც კოლმეურნეობამ გაანაწილა და ასე ჩამოსახლდა ზემოთა სოფლებიდან მოსახლეობა. კორინთის გალავანში ახლაც ცხოვრობენ ისტორიული კორინთის მკვიდრი თინიკაშვილების შთამომავლები“...

2002 წლის აღწერით კორინთაში 205 მოსახლე ცხოვრობდა, 103 მამაკაცი და 102 ქალი, მოსახლეობის 98% ქართველები იყვნენ.

2008 წლის ომამდე სოფელ კორინთაში ცხოვრობდნენ ბასილაშვილები, ხერკელაძეები, ოდიშვილები, თინიკაშვილები, ნათაძეები, ბერიანიძეები, ჩიტიშვილები, შერმადინები, არჯევანიძეები, მარტიაშვილები, საბიაშვილები, მილაძეები, ღუნაშვილები, თათარაშვილები, მწითურები, ბლიაძეები, პაპაშვილები, ბიტიაშვილები, ტატუნაშვილები, დავითურები, გაბრიელაშვილები, ყოჩიშვილები, ომიაძეები, გიზოევები, დათუნაშვილები, ტარიელაშვილები, გვრიტაძეები...

დაბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ კორინთიდან გახლავთ თანამედროვე ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი მანანა ჩიტიშვილი.

დავით ახლოური,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ახალციხის ქვის ნიშის ისტორია გომელის პასკევიჩის სასახლიდან

არც ისე დიდი ხნის წინ, გარემოებათა დამთხვევის გამო, ჩვენს წინაშე სრულიად ახლებურად წარმოჩინდა ამ კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო ნიმუშის წარმომავლობა.

გომელის სასახლისა და პარკის ანსამბლის მუზეუმის კოლექციაში ინახება *ი.სუხოდოლსკის* ტილო „ახალციხის ციხესიმაგრის შტურმი 1828 წლის 15 აგვისტოს“, სადაც გამოსახულია აჰმედიეს მეჩეთი. გეგონებათ, თითქოს ცეცხლის ალით განათებული მეჩეთი და სავსე მთვარე, ცაზე ციხის კედლებთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლას დაჰყურებენ თავზე.

ამ მეჩეთთან დაკავშირებულია თავად პასკევიჩის კოლექციის უნიკალური ნიმუშის ისტორია, რომელიც 100 წელზე მეტი გომელის სასახლეში ინახებოდა.

„მოუხერხებელ აზიურ ნაგებობათა ლაბირინთებს შორის... აზიდულიყვნენ მისი მოოქროვილი გუმბათები, რომლებიც ევროპული არქიტექტურის სწორ ფორმებს მოგაგონებდათ, - და მართლაც, როგორც ამბობენ, იგი აგებული ყოფილა კონსტანტინეპოლის აია სოფიას მოდელის მიხედვით...“ ასე აღწერა რუსმა სამხედრო ისტორიკოსმა ვასილი პოტომ ქალაქ ახალციხის მეჩეთი თავის მრავალტომეულ თხზულებათა წიგნში „კავკასიური ომები“.

შენობას შიგნიდან უამრავი სანათი და ქორკანდელი ამშვენებდა, მაგრამ კედლებს, გარდა ყურანიდან რამდენიმე გამონათქვამისა, სხვა ზედმეტი მორთულობა არ ჰქონია. წინ ერთგვარი პატარა საკურთხეველი იყო, მწვანე იასპით შემკული; მარცხნივ შემაღლებული ადგილია, რომელიც სვეტებს ეყრდნობა. გავითვალისწინოთ, რომ პოტო ციხის აღებიდან 8 წლის შემდეგ დაიბადა!

„ერთგვარი პატარა საკურთხეველი“ – მუსლიმური სალოცავის მთავარი სიწმინდე, კავკასიის განმათავისუფლებელმა ფელდმარშალმა ივან ფედოროვიჩ პასკევიჩმა ნადავლის სახით წაიღო. ახალციხეში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის რუსებს ადვილად არ მიუღწევიათ, მაგრამ ამ მხარის რუსეთთან შეერთებამ ადგილობრივი მოსახლეობა განადგურებისაგან დაიცვა და მისი ნორმალური განვითარებისთვის პირობები შექმნა...[1]

აჰმედიეს მეჩეთი აგებულია XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართველ დიდებულთა უძველესი გვარის, ჯაყელების წარმომადგენლის – აჰმედ-ფაშას მიერ. ლეგენდის თანახმად, ისლამზე მოქცეულ თავადს უბრძანებია, რომ მეჩეთში მისთვის შემაღლებული ადგილი გაეკეთებინათ, რისთვისაც კონსტანტინეპოლის დივანს (საბჭო ოსმალეთის სულთნის კარზე - *მთარგმ.)* სიკვდილით დაუსჯია წმინდა თოკით. გარკვეული დროის შემდეგ ვეზირი დიდი პატივით იქნა დაკრძალული წამომართული ტაძრის გვერდით. მეჩეთთან არსებობდა მედრესე (მუსლიმური რელიგიურ-საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულება) და იმ დროისათვის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ახალციხის მუზეუმის თანამშრომლების თანახმად, პასკევიჩის საკუთრება გახდა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეავსო სანკტ-პეტერბურგში ყოფილი საიმპერიო ბიბლიოთეკა.

მესხეთის თურქეთის 300-წლიანი ბატონობის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, მეჩეთი გადაკეთდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრად. საბჭოთა პერიოდში შენობა ცარიელი იყო. XXI საუკუნის დასაწყისში, ახალციხის ციხის რაბათი, მთელი თავისი ნაგებობებით, აღდგენილ იქნა და დღეს მას აქტიურად სტუმრობენ ტურისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. აჰმედიეს მეჩეთი მუზეუმად იქცა.

რა გასაკვირია, რომ კედელში, რომელსაც ქიბლას შესაბამისად, მექას მიმართულებით უჭირავს პირი, თითქმის ორასი წელია, რაც ოდესღაც გამოღებული ქვის ნიშა გადახსნილა და „გარდასულ დღეთა საქმეებს“ შეგვახსენებს...

და რა არის ეს „ერთგვარი პატარა საკურთხეველი“, რომელსაც ვასილი პოტო ახსენებს თავის წიგნში? ეს მართლაც საკურთხეველია, ოღონდ აღმოსავლური.

ცარიელი ნიშა, თითქოს ჩარჩოში ყოფილიყოს ჩასმული, მიჰრაბი – მუსლიმური ტაძრების აუცილებელ არქიტექტურულ ელემენტს წარმოადგენს და ქააბას (მექაში) მიმართულებას აჩვენებს. ჩვეულებისამებრ, იგი ზემოდან ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. მიჰრაბების უამრავი სახესხვაობა არსებობს და, პრაქტიკულად, არასდროს არ მეორდება. მეჩეთების ინტერიერი ასევე განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მეჩეთს თავისი სახე აქვს.

ადამიანებისა და ცხოველების გამოხატვა ისლამში აკრძალულია. ამიტომაც მეჩეთის შიდა და გარე კედლები ირთვება არაბული წარწერებით – ყურანის სტრიქონებით. როგორც ყველა რელიგიურ ტაძარში, მეჩეთის დეკორაციაშიც ჩადებულია სამყაროს მოწყობის ფილოსოფიური არსი და ადამიანის ადგილი ამ სამყაროში. ის, მთელი თავისი მინიმალიზმით, რომელიც ასახულია ისლამის პოსტულატებში, დიდებული და მშვენიერი უნდა იყოს და, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ყოფილი კონსტანტინეპოლის აია-სოფია სამაგალითო იყო.

ახალციხის ბრძოლა, 1828 წ.
(მხატვარი: ი. სუხოდოლსკი, 1839 წ.)

გომელში მდებარე რუმიანცევის სასახლე ფელდმარშალმა პასკევიჩმა 1834 წელს 4 მილიონ რუბლად შეიძინა. ნიკოლოზ I-მა მას 1838 წელს უბოძა გომელის მამულის დარჩენილი ნაწილი. ახალი მფლობელის გრანდიოზული იდეების განსახორციელებლად ვარშავიდან გამოჩენილი პოლონელი არქიტექტორი ადამ იდზკოვსკი მიიწვიეს.

ბელარუსი მკვლევარის, არქიტექტურის დოქტორის ვ. ფ. მოროზოვის თქმით, პრინც ვარშავსკის რეზიდენცია *„გამორჩეული იყო „სცენური სილამაზით“ და წარმოადგენდა თავადის აურაცხელი სიმდიდრის, მისი „საგანძურის“ საცავს. გომელში სასახლის მოსაწყობად სხვადასხვა ადგილიდან ჩამოიტანეს ხელოვნების ყველა შესაძლო სახის ნიმუში – ქანდაკებები, ვაზები, ნახატები, ავეჯი, სამხედრო ნადავლი, რომელიც მოგვიანებით მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა გახდა. ბევრი მათგანი, დიდი ზომებიდან გამომდინარე, საჭიროებდა განსაკუთრებულ გარემოს სასახლის ინტერიერში, რამაც განაპირობა ა. იდზკოვსკის თავდაპირველი პროექტის გადახედვა...“*.

ახალციხიდან ჩამოტანილი ქვის ნიშა გამოირჩეოდა დიდი ზომითა და რთული ფორმებით. როგორც ჩანს, ფელდმარშალი პასკევიჩი თავდაპირველად ციხის კოშკში სპარსული კაბინეტის მოწყობას გეგმავდა („დიდი კაბინეტი“, „სტუკოს დეკორიანი კაბინეტი“, „საუდიენციო დარბაზი“ – სხვადასხვა დროს მას სხვაგვარად ერქვა) ახალციხური მიჰრაბის, როგორც კოლექციის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის გამოსაფენად.

არსებობს იდზკოვსკის თავდაპირველი გეგმა რუმიანცევის კლასიკური სასახლის გადაკეთების შესახებ და დიდი კაბინეტის აზომვითი ნახაზები. ვ. ფ. მოროზოვმა, რა თქმა უნდა, ყურადღება გაამახვილა კარდინალურ ცვლილებებზე, რაც კაბინეტის გეგმას შეეხო, მაგრამ მან ეს დამკვეთის ახირებითა და ნეო-გოთიკური მოდით ახსნა. აია-სოფიის ტაძართან მისთვის მხოლოდ სასახლის სვეტებიანი დარბაზი ასოცირდებოდა. შემთხვევითია თუ არა, რომ დიდი კაბინეტი ემთხვევა ზოგადად საკურთხევლისათვის „მშობლიურ“ (ავთენტურ. მთარგ.) მეჩეთს და ზოგჯერ კონკრეტული მახასიათებლებით? ამ დარბაზის არქიტექტურა აშკარად წააგავს ბიზანტიურ ჯვარგუმბათოვან ტაძარს: კვადრატული დაგეგმარებით, გუმბათითა და აფრებით, რომლებიც ოთხ სვეტზე მდგარ წრიულ თაღებს ეყრდნობიან; ცენტრიდანულ ოთხ კამაროვან მკლავში აშკარად იკითხება ტოლგვერდა ჯვარი.

ბიზანტიური ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტია გუმბათის ყელი – ცილინდრული ჩანართი გუმბათსა და კედლებს შორის. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაჩნდა ასეთი „გუმბათის ყელი“ დიდ კაბინეტში. გუმბათის ყელის ზედა სარკმელები უხვი სინათლის წყაროს ქმნიან, მწვანე, ძვირფასი ქვისგან დამზადებული ნიშა და მის წინ განთავსებული იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ქანდაკება ნამდვილად ბრწყინვალედ ჩაფიქრებული მუზეუმის ექსპოზიციის კულმინაციაა. ნახევარწრიული თაღები, მძლავრი საყრდენებითა და ჰორიზონტალური კარნიზებით, კედელში ნიშიანი თაღის კონტურებს იმეორებდა, რაც გრძივ ნავს ქმნიდა „მშობლიურ *(ავთენტურ-მთარგმ.)* საკურთხეველთან“. დიდი კაბინეტის დაგეგმარებულ ნახაზებზე ჩანს როგორც კედლის რთული პროფილი, სადაც უნდა მოთავსებულიყო ახალციხური ნიშა ფიქტიური სარკმლებით, ასევე ტოლგვერდა ჯვარი.

იმ დროს, როდესაც *„არქიტექტორს შესანიშნავად ესმოდა და ასრულებდა მშენებლობის დამკვეთის მოთხოვნებს“* (ვ. ფ. მოროზოვი), ქვის ნიშა ფელდმარშალის ბრძანებებს ელოდა ტფილისში, საიდანაც მან გომელში მხოლოდ 1839 წელს ჩამოაღწია. *„შეფუთული ტვირთი, რომელიც 628 ფუთსა და 37 ფუნტს იწონიდა, ჯერ ქალაქ დუშეთის „საკარანტინო პუნქტში“ მოხვდა, საიდანაც იგი „კურსკის მაზრის სლობოდა იამსკის კურიერებმა საკუთარი ცხენებით სრულიად კარგ მდგომარეობაში გომელის მამულში ჩაიტანეს“*. – საარქივო დოკუმენტებში დაცულია საკურთხევლის 4-თვიანი მოგზაურობის აღწერა.

სპარსეთისა და თურქეთის ომების თემაზე შექმნილ ოცდაორ ტილოს შორის, მუზეუმის 1940 წლის აღწერაში, არის მხატვარ მ. ზალესკის ომის წლებში დაკარგული ტილო – „სპარსეთის კაბინეტის პროექტი გომელის სასახლეში.“ აქვე აღნიშნულია: *„პროექტი არ განხორციელებულა... ნახატზე გამოსახულია დარბაზის საერთო ხედი და ფელდმარშალი პასკევიჩი, რომელიც მას ათვალიერებს. ნიშაში, ახალციხური შადრევნის კედელზე იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბიუსტია“*. კოშკის მშენებლობა დასრულდა 1843 წელს. ამ დროისათვის კაბინეტი აშენებულია, ნიშა უკვე ადგილზეა და ჩაშენებული. მარტინ ზალესკის ტილო თარიღდება 1840 წლით, რაც შეიძლება მიუთითებდეს არა პროექტზე, არამედ სასახლეში სპარსული კაბინეტის არსებობაზე.

როგორც ისტორიკოსებისთვის ცნობილია, მოგვიანებით ბიუსტი შეიცვალა ნიკოლოზ I-ის მარმარილოს დიდებული ქანდაკებით, რომელიც ი. ფ. პასკევიჩს აჩუქეს. მასზე იმპერატორი გამოსახული იყო როგორც ძველი რომის ტრიუმფატორი. სწორედ ასეა აღბეჭდილი დიდი კაბინეტი XIX - XX საუკუნის ფოტოებზე: 2,85 მეტრის სიგანისა და 4,88 მეტრი სიმაღლისა, იგი შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენდა. საკურთხეველი ძლიერ დაზიანდა მეორე მსოფლიო ომის დროს, თუმცა მისი დამთავრების შემდეგ ის კვლავ სასახლის ნანგრევებს შორის იყო მოქცეული.

დიდი ყურადღება დაეთმო პასკევიჩის ყოფილი სასახლის აღდგენას. 1959 წელს აქ პიონერთა სასახლისათვის გაიღო კარი, რომელსაც სასახლის ცენტრალური ნაწილი დაეთმო. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ომამდე კოშკში იყო განთავსებული, თავის რიგს ელოდა.

გომელის მხარის სახელმწიფო არქივში წავაწყდით საყურადღებო დოკუმენტს, რომელმაც ნათელი მოჰფინა ამ ძველი, ღირებული, ისტორიული ობიექტის ბედს. სხვათა შორის, ომამდე იგი (ქანდაკებასთან ერთად) 50 ათას რუბლად იყო შეფასებული.

მშენებლები,

---

1 გომელის მცხოვრებნი ეკატერინა კოროტკაია და ალექსეი დოლგუშინი 2019 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს ახალციხეს ეწვივნენ. მათ აღნიშნეს ქალაქ ახალციხისა და მისი შემოგარენის საოცარი სილამაზე ზამთარშიც კი და, გადმოგვცეს აჰმედიეს ყოფილი მეჩეთის ფოტოები, რამაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ამ კვლევას.

ახალციხის მეჩეთი და ბიბლიოთეკა

ციური ლაფაჩი

ახალციხის მთავარი მეჩეთი, ცნობილია როგორც აჰმედის სახელობის მეჩეთი, რომელიც წარმოადგენს მთელი ქალაქისთვის არაჩვეულებრივ მოვლენას. იგი აღმართულია ციტადელის უძველეს ქონგურებიან კედლებს შორის და წარმოადგენს ევროპული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშს.

აჰმედიეს მეჩეთი აგებულია თლილი ქვისაგან, ფართო ჭიშკარს შევყავართ მეჩეთის ეზოში. მარჯვნივ მდებარეობს კაზემატის ტიპის ოთახი, სადაც თურქეთის ფაშები ისვენებდნენ ან ხიფათის დროს თავს აფარებდნენ. ცოტა მოშორებით, იმავე მხარეს, ეზოში, პატარა გალავნის შიგნით, დგას ორი ძეგლი. ერთ-ერთ მათგანზე ამოკვეთილია სიტყვები თუქრულ ენაზე: ,,აქ განისვენებს 1173 წ. (მუსულმანური წელთაღრიცხვით) გარდაცვლილი კეთილშობილი ვეზირის ჰაჯი აჰმედ ფაშას ნეშტი. მეორე ძეგლი დგას აჰმედ ფაშას მეუღლის აიშა ხანუმის საფლავზე. აჰმედიეს სახელობის მეჩეთის აშენებას საფუძველი ჩაუყარა აჰმედ ფაშამ 1161 წ. (მუსულმანური წელთაღრიცხვით). მეჩეთის მშენებლობა მიმდინარეობდა 7 წელს და სახელიც ახმედ ფაშას საპატივსაცემოდ მიეცა. ეზოს შუაში მდებარეობს შადრევანი, სადაც მუსულმანური წეს-ჩვეულების მიხედვით, ,,განიბანებოდა“ ტაძარში სალოცავად მისული მრევლი. ეს შადრევანი ერთადერთი წყალსაცავი იყო, რომელიც წყლით ამარაგებდა ციტადელს. ტაძარში შესასვლელი შემკულია ოთხი სვეტით (რგოლებითურთ), რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტაძარი აგებული უნდა იყოს სტამბოლში არსებული აია სოფიას ტაძრის სტილზე. ლამაზი გარეგნობა ძეგლს ანიჭებს განსაკუთრებულ ყურადღებას აზიატურ ქალაქში. სალოცავის შიდა კედლები არაა შემკული არანაირი სხვა სამკაულით, გარდა ყურანიდან ამოღებული რამდენიმე წარწერისა, ისევე, როგორც სხვა მუსულმანური მეჩეთები. სამხრეთ კედელზე ამოკვეთილია მცირე ზომის ალტარი (საკურთხეველი), დაფარული მომწვანო ფერის იასპის ქვით. მარცხნივ, წინა მხარეს, აშენებულია შემაღლებული ადგილი, ოთხი სვეტით გამაგრებული, რომელსაც უკავშირდება განსაკუთრებული შესასვლელი გარედან, ფართო კიბით. ეს არის ლოცვების დროს განკუთვნილი საპატიო ადგილი აჰმედ ფაშასთვის. თუ დავუჯერებთ ახალციხის მაცხოვრებლების გადმოცემას, სწორედ ეს განსხვავება გამხდარა აჰმედ ფაშას სიკვდილით დასჯის მიზეზი, რამეთუ ასეთი განსაკუთრებული პატივი სალოცავებში მხოლოდ სულთნის პრეროგატივა იყო და ამით ახმედ ფაშა შეეცადა გატოლებოდა მას. მის გამო იქნა იგი დასჯილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გარემოება მხოლოდ საბაბი უნდა ყოფილიყო აჰმედ ფაშას თავიდან მოშორებისა, ძირითადი მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მას ბევრი მტერი ჰყავდა და სწორედ მათმა მტრობამ იმსხვერპლა იგი, როგორც ეს მიღებული იყო თურქეთის სამეფო კარზე.



ახმედ ფაშამ მოწიწებით მიიღო წმინდა სიკვდილი და მისი ნეშტი პატივით იქნა დაკრძალული. სწორედ ეს გარემოება ადასტურებს, რომ, მიუხედავად სულთნის რისხვისა, ახმედ ფაშა მაინც პატივით სარგებლობდა ხალხში და სამეფო კარზეც. ეს გადმოცემა არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ თურქეთის ფაშები აზიაში სამოცი წლის წინ უფრო ემორჩილებოდნენ თურქეთის სულთანს ვიდრე ახლა.

უკვე მთავარმართებელ ციციანოვის დროს, 1802 წელს, იგრძნობა ფაშების დაშორება დივანიდან. მოხელეები უკვე ნაკლებად აღიარებენ სულთნის გავლენას. ტაძრის შესასვლელთანავე მარჯვნივ არის მაღალი მინარეთი, სადაც ასვლა ტაძრიდან შეიძლება ვიწრო ხვეული კიბით. მინარეთის ზედა ნაწილი დანგრეულ იქნა ყუმბარით, რომელმაც ჩამოაგდო მეჩეთის თავზე დამაგრებული თურქული სიმბოლო ნახევარმთვარე. ყუმბარის ნამსხვრევებმა დააზიანეს ტაძრის შიგთავსი და მოანგრიეს მოაჯირები. ნახევარმთვარე, რომელიც ჩამოგდებულ იქნა დამორჩილებული ქალაქის ყველაზე მაღალი წერტილიდან, შევიდა თურქებისაგან ჩამორთმეულ სხვა ალაფში.

,,ტფილისკოე ვედომოსტის“ რედაქტორი პ. სანკოვსკი მიწვეული იყო ახალციხეში იქ არსებული ბიბლიოთეკის წიგნების აღსაწერად და, როგორც იგი წერს, ის იყო პირველი ,,გიაური“, რომელიც ავიდა მინარეთში, იქ, სადაც, სულ ცოტა ხნის წინ, მოლა მოუწოდებდა ქალაქის ყველა მორწმუნე მაცხოვრებელს, ,,იმ ქალაქისა რომლის მაცხოვრებლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი სიმამაცით და დაუმორჩილებლობით მთელს აზიაში.“ სივრცე, რომელიც უკავია ახმედეს მეჩეთს, აღმოსავლეთით და სამხრეთით გარშემორტყმულია ქვის ლამაზი ზღუდით, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ციხის კედლები, ხოლო დასავლეთით მდებარეობს მთელს აზიატურ თურქეთში განთქმული ახალციხის ლიცეუმი, ტაძარი რომელიც დგას შემოზღუდულ სივრცეში, ყოფს ამ ადგილს ორ ეზოდ. პირველი ეკუთვნის ტაძარს, ხოლო მეორე ლიცეუმს. შენობა, რომელშიც მოთავსებულია ეს სასწავლო დაწესებულება, ორსართულიანია. თითოეულ სართულზე გრძელი რიგია ოთახებისა. ზემო პალატები უერთდება თაღებიან გალერეას. თაღებს იკავებენ გრძელი კოლონები (სვეტები) სტილი ძალზედ წააგავს ტოსკანურს.

მთელს აღმოსავლეთში ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა ახალციხის ლიცეუმშია, რომელიც შეგროვებული და გამდიდრებულია ახმედ ფაშას მიერ. ბიბლიოთეკა შეიცავს 600-მდე ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნს. მიუტევებელი იქნებოდა არ გამოგვეყენებინა ეს შემთხვევა ჩვენი სამშობლოს სასწავლო დაწესებულებებში ცოდნის დონის ასამაღლებლად, ცოდნის გასამდიდრებლად (პ.სანკოვსკი). ამ წიგნსაცავიდან შერჩეულ იქნა 300 წიგნი. მაგრამ, ამავე დროს, ახმედიეს მეჩეთმა და ლიცეუმმა შეინარჩუნეს აუცილებელი საშუალებები მუშაობის გასაგრძელებლად. მეჩეთმა – რათა განეგრძო ღვთისმსახურება და, ლიცეუმმა – სწავლება.

წიგნად ფონდში ყველაზე უფრო აღსანიშნავია არაბული სიტყვათწარმოებისა და რიტორიკის (,,კიტაბ სიბე“) I ნაწილი. ეს უძვირფასესი ხელნაწერი გადაწერილია 547 წ. სხვა მანუსკრიპტიდან, რომელიც დაწერილი იყო 389 წ. (მუსულმანური წელთაღრიცხვით). ასე, რომ შენაძენი ხელნაწერი ,,კიტაბ სიბე“ დაწერილი 697 წლის წინ. შემდეგ, ხელნაწერი ყურანები, რომელთაგან ერთ-ერთი ხელნაწერი გამოირჩევა შესრულების საუცხოო მანერით. ბიბლიოთეკაში დაცულია ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „კაზი ბეი ზავი“, „კაშარ იმამ ფაჰრარაზი“, „აბუ აიდ დრულო“, „მანსურბი“ და სხვა. შერხი შიარიტის ,,საღვთო სჯული“, შარხე აკაში, არაბულად თარგმნილი ფსალმუნი, ფილოსოფიური თხზულებანი და სხვა. ასევე სხვადასხვა საკანონმდებლო და სამართლის წიგნები, რომლებიც შეიცავენ წესებსა და კანონების განმარტებას. ეს წიგნები გამოცემულია ომარის სექტის ოთხი კანონმდებლიდან ერთ-ერთი მთავართაგანის ცნობილი აბუხანფეს მიერ, რომელიც ცხოვრობდა ბაღდადში ხალიფების დროს ჩვ.წ. აღ-ით.VII ს-ში. წიგნსაცავში დაცულია შარხ ჯამის გრამატიკული წესები და მუტა ოვალის არაბულ ენაზე დაწერილი რიტორიკის წესები, ასევე არაბული და თურქული ლექსიკონები, თურქეთის ისტორია – ავტორი სიარი ქერიბი. წიგნი მოიცავს ბოლო პერიოდის მოვლენებს. ახალციხის მუზეუმის ბიბლიოთეკას იგი გადასცა სულთანმა მაჰმუდმა. წიგნსაცავში დაცულია შამაილ-ნების ,,აღწერა წინასწარმეტყველის თვისებების“, შავისიდუნუბუვეს ,,წმინდა ისტორია წინასწარმეტყველისა, მისი მოადგილეებისა და მოვალეობისა.“ წიგნსაცავში დაცულ წიგნებში არის შესანიშნავი ნიმუშები თურქული, არაბული და სპარსული პოეზიისა. არაბული თხზულებები: ქასი დე ბარიდე; არაბი პოეტის ავიტა-ნებას ლექსების კრებული. სპარსული – ხაფიზი. თურქული ლექსები – ავტორები: რაგიბი და ისაბიტი. აქ ასევე მოპოვებულ იქნა რამდენიმე იმ წიგნთაგანი, რომელიც ლიცეუმის ყველაზე წარჩინებული მოსწავლეების მოთხოვნით გამოგზავნილ იქნა სპარსეთისა და, განსაკუთრებით, არდებილის ბიბლიოთეკებიდან.

მართალია ახალციხის ბიბლიოთეკა თავისი ხელნაწერების საუცხოოდ შენარჩუნების მანერით, ვერ შეედრება არდებილის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავალფეროვანი გამოყენების მხრივ აღემატება მას. არდებილის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები დაწერილია ძველ სპარსულ ენაზე და შეიცავს მხოლოდ ისტორიკოსებისა და პოეტების ხელნაწერებს, ყოველგვარი სისტემური წესების დაცვის გარეშე, მაშინ, როდესაც ახალციხის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები წარმოადგენს სასწავლო დაწესებულებებისათვის საჭირო მასალას: გრამატიკა, რიტორიკა, ღვთის სჯული, კანონმდებლობა, მათემატიკა, სიტყვიერება, ასტრონომია, ფილოსოფია. წიგნების უმეტესობა დაწერილია არაბულ დიალექტზე. არდებილის ბიბლიოთეკა დაარსებულია სპარსეთის ხელისუფლის მიერ სოფის დინასტიიდან, რათა გაემდიდრებინა არდებილის მეჩეთი, სადაც დაკრძალულია მისი წინაპრების ნეშტი, ახალციხის ბიბლიოთეკა კი დაარსებულია ლიცეუმის საფუძველზე.

ახმედ ფაშას დამსახურებების შესახებ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას გაზეთ ,,ტიფლისკოე ვედამოსტის“ რედაქტორის პ.სანკოვსკის სიტყვებით: ,,выходя из мачети какое то необьяснимое чувство остановила меня подле ограды в котором заключаемся могила Аджи Ахмеда. Я долго, с уважением смотрел на памятник, возвышений над прахом этого человека. Судьба доставила ему возможность быть полезен и он был полезен для общего блага. Невежество казнило его смертью, но имя его с благоговением передали потомству“ (Из записки П. Санковского. 1828.

←

რომლებიც სასახლის შენობის აღდგენაზე მუშაობენ, განგაშს ტეხენ: *„მიუხედავად იმისა, რომ 1949 წელს არქიტექტურის სამხარეო განყოფილებამ აგინაზღაურათ პიონერთა სასახლის სამშენებლო მოედანზე მდებარე მარმარილოს შადრევნებისა და ვაზების შემოღობვისათვის გაწეული ხარჯი, თქვენ ეს ღობეები მოხსენით, რაც იწვევს ამ უკანასკნელის განადგურებას... აუცილებელია საგანგებო მითითება მიეცეს ამხ. ვასილევსკის, რომ პიონერთა სასახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების არარსებობის გამო, მხოლოდ აგვისტო-სექტემბრის თვეებში, განადგურებული და გაძარცვულია სამხრეთის ფრთის ბუდუარაში მდებარე ომშიტით მოპირკეთებული ნიშა, დაახლ. 1 მ², რაზეც ფინანსური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სამხარეო სამშენებლო ტრესტმა“.*

1953 წელს გამოცხადდა, რომ ნიშა დაიკარგა. ხოლო როდესაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საბოლოოდ შეუდგა მუშაობას სასახლის აღდგენილ კოშკში, აღარაფერი იყო დარჩენილი იქ, რაც ქვის ნიშას მოგაგონებდათ,

საინტერესოა, რომელი ქვისგან იყო დამზადებული საკურთხეველი? ბევრ წყაროში მეორდება ინფორმაცია და, შესაძლოა პოტოს გავლენით: – *„მომწვანო იასპერის ნიშა“.* ასევე არსებობს შემდეგი განმარტებები: ფერადი მარმარილო, ალებასტრი, ომშიტი (? – *sic!*), აქატი. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტი მეტყველებს:

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი კაბინეტის ინტერიერის ფოტოების კარგი ხარისხის წყალობით, თუკი გავადიდებთ, ეკრანზე აშკარად შეიმჩნევა გარდამავალი ფენები და ქვის მსხვილი ორნამენტები.

დიდი კაბინეტი 1840-1919, 1970-იან და 2000-იან წლებში

აქატის გამორჩეული თვისებაა ფენების გამჭვირვალობის განსხვავებული ხარისხი. მის გაპრიალებულ ზედაპირს გაპოხილ-მინისებრი ბზინვარება აქვს. იასპი სრულიად გაუმჭვირვალეა, ჩვეულებისამებრ აქვს პატარა ჭრელი ფიგურები. ასევე, სურათებზე შეგიძლიათ შეამჩნიოთ არაბული წარწერა მიჰრაბის ცენტრში!

ჯერ ერთი, 1948 წლის არქიტექტორების ნახაზებზე, ნიშის ანაზომებზე, ფანქრით არის აღნიშნული „მწვანე აქატი“. ხოლო 1927 წლის, მწერალ ილ. ბარაშკოს საგაზეთო სტატიაში, გომელის მუზეუმის მუშაობის შესახებ, იხსენიება „აქატის ნიშა“. მეორეც, აქატის ერთ-ერთი უდიდესი საბადო არსებობს მაღალმთიან სოფელ შურდოსთან, რომელიც ახალციხის სიახლოვეს მდებარეობს. ადგილობრივი ბუნებრივი მასალის გამოყენება სრულიად გამართლებულია.

ჩვენი მუზეუმის თითოეულ საინვენტარო წიგნში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ჩანაწერი: *„სპილენძის ფირფიტის თანახმად (ეს არის) წმინდა მაჰმადიანური შადრევნის კედელი ახალციხიდან“*, თუმცა მხოლოდ 1930 წლის აღწერაშია აღნიშნული, რომ *„გადმოცემის თანახმად – ნიშა, დამზადებული მომწვანო ფერის ფერადი მარმარილოსგან.... ახალციხის წმინდა შადრევნის კედელი... კავკასიის გუბერნატორის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის საჩუქარია“*. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ახალციხური ნადავლი მართლა საჩუქარია?

გომელის სასახლეში სპილენძის დაფებით აღნიშნული იყო ხელოვნების ყველა გამორჩეული ნიმუში, რომელიც ივან ფედოროვიჩ პასკევიჩთან იყო დაკავშირებული. გიგანტური ფაიფურის ვაზებს, კლდის ბროლისა და ლალის მინისგან დამზადებულ სასანთლეებს, ამა თუ იმ ხელმწიფის მიერ ნაჩუქარ ნებისმიერს ძღვენს ცნობილი ფელდმარშალისთვის, სპილენძზე ამოტვიფრული ჰქონდა ანოტაცია, რომელიც მიუთითებდა ნივთსა და მჩუქებელს. როდის და რატომ დაერქვა ამ ობიექტს შადრევანი? ვინ ცდება აქ: ფიოდორ ივანოვიჩ პასკევიჩი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ეს 1856 წელს, მუზეუმის თანამშრომლები თუ ვინმე სხვები? საინტერესოა, რომ სასახლის ქონების რევოლუციამდელ აღწერებში ქვის ნიშის არსებობა საერთოდ არ იყო მითითებული, იქნებ იმიტომ, რომ იგი აღიქმებოდა არქიტექტურული ანსამბლის ელემენტად?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფელდმარშალ პასკევიჩის მიერ მიჰრაბთან ერთად „ხმარებიდან ამოღებული იყო“ რაღაც შადრევანიც, რომელიც შემდეგ „დაიკარგა“. ყოფილი აჰმედიეს მეჩეთის გარე კედელზე ჩვენმა გომელის მაცხოვრებლებმა გამოავლინეს უცხო ქვის კვალი იქ, სადაც მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღმოსავლური „ბახჩისარაის“ ტიპის შადრევანი.

ქვის ნიშის წარმომავლობასთან დაკავშირებით შეჯამება რომ გავაკეთოთ, უნდა აღვნიშნოთ: *1) გომელში, პასკევიჩის სასახლეში იყო მიჰრაბი და არა შადრევანი;*

2) იგი დამზადებული იყო არა იასპისაგან, არამედ მწვანე აქატისგან;

3) სასახლეში მის მოსათავსებლად შეიქმნა სპეციალური ოთახი – დიდი ანუ სპარსული კაბინეტი;

4) კაბინეტის ჩრდილოეთი კედელი შეიქმნა აჰმედიეს მეჩეთის წმინდა კედლის „ხატად და მსგავსად“;

5) ივან ფეოდოროვიჩ პასკევიჩი იყო არა მხოლოდ ბრწყინვალე სამხედრო ლიდერი, არამედ გამოჩენილი კოლექციონერი.

იქნება ეს წმინდა მუსლიმური ნიშა-მიჰრაბი, ცხენზე ამხედრებული იოზეფ პონიატოვსკის ბრინჯაოს ძეგლი თუ მოდური დანიელი მოქანდაკის ტორვალდსენის მარმარილოს ქანდაკებები, გომელის სასახლისა და პარკის ანსამბლი უცვლელად იყო მორთული მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული ნივთებით. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ბაღისთვის განკუთვნილი ქვისგან ჩამოსხმული ვაზები და, მათ შორის, სამხედრო ნადავლი – თურქული ქვემეხები, უძველესი ცივილიზაციების დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და მრავალი სხვა ერთადერთია ბელორუსიის მიწაზე...

ელენა კალუგინა,
მუზეუმის სამხატვრო განყოფილების მკვლევარი.
ჟურნალი „ბელორუსსკიი მუზეი“ N 2.
თარგმნა
რუსუდან ბერიძემ

მატიანე

უდელი მოხუცები. 1950-იანი წლები. სურათი მოგვაწოდა ანტონ ბალახაშვილმა

განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო,

ძალაში შევიდა ახალი 2023 წელი. რედაქციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დროულად გამოსულიყო გაზეთის თითოეული ნომერი და ადრესატამდეც შეუფერხებლად მისულიყო.

იმისათვის, რომ მომავალშიც გაზეთმა ჩვეულ რეჟიმში წარმართოს თავისი მუშაობა, უმორჩილესად გთხოვთ, ვისაც ჯერ კიდევ არ გადაუხდია გასული წლის ხელმოწერის ღირებულება, დროულად დაფაროთ დავალიანება.

შეგახსენებთ ჩვენს საბანკო რეკვიზიტებს:

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ს/კოდი 223100908
ანგ.N GE72LBO113115795007000
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

რედაქცია

ძველი გაზეთებიდან

მესხეთში

მუდმივ არევ დარევამ ხალხი ცუდ პირობებში ჩააყენა. ჯერ ოსმალეთმა გაზიდა ხალხის ჭირნახული დ2ა საქონელი, ხალხი მოსწყდა სამუშაოს და ზოგიც ჯარში წაიყვანა, ზოგიც ბეგარაზე. არც ქირა და სარჩო მუშას არ ეძლეოდა. ეხლაც ხალხი ცუდ პირობებშია. ბეგარა აწუხებს მას. ვინაიდან შარშან მოუსავლობა იყო, საქონლისთვის არ აქვთ არც თივა და არც ბზე. შორიდან მოტანა კი შეუძლებელია. ამას წინეთ ხალხმა სთხოვა მთავრობის წარმომადგენელს შეემსუბუქებია მათთვის ბეგარა. მართლაც განკარგულება მოახდინეს და მის შემდეგ ხალხი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს.

— ხალხის უმთავრესი საზრუნავია ფარჩა, შაქარი, ჩაი, ნავთი და სხვა პირველი საჭიროების საგნები. ამბობენ მთავრობა უკვე ჰგზავნის ახალციხის მაზრის საჭიროებისათვის შაქარს, ნავთს, მარილს და ფარჩასაო.

— ამ დღეებში აქ აირჩიეს წარმომადგენელი მიწის მუშათა საბჭოს წევრათ. მას დაევალა ხალხის გაჭირვება მოახსენოს საბჭოს.

— ხალხში პროვოკატორები დადიან, მაგრამ გლეხები იმდენად დაშინებული არიან ოსმალთა შემოსვლით და ნახული ტანჯვით, რომ მათ ნაკლებად უჯერებენ.

— პროვოკატორების აგიტაციამ ვერ გასჭრა და აწყურლებმა გადასწყვიტეს მიიღონ მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

— ადგილობრივი სკოლა წელიწადზე მეტია დახურულია. არ არის არც მასწავლებელი და არც სასწავლო ნივთები. საჭიროა ეხლავე გაიხსნას შკოლა, რომ ბავშვები ასე უპატრონოთ და უსწავლელნი არ დარჩნენ. მაჰმადიანი გლეხები ყველას სთხოვენ პირველად ყოვლისა შკოლის გახსნის დაჩქარებას.

— აქ განზრახულია სახალხო სამკითხველოს აგება. შენობა უკვე ნაშოვნია. ოსმალების კარანტინი ხალხმა სოფ, აგარიდან აწყურში გადმოიტანა და ამ დღეებში უკვე შეუდგებიან აშენებას. საჭიროა მთავრობამ გაიღოს საჭიროს თანხა.

გაზეთი „საქართველო“, N28, 1919 წელი

„ღმერთო, არ დამივიწყო!“

ჩემი სოფელი

ღმერთმა გიკურთხოს გამჩენი
ჩემო სოფელო მზიანო,
მთებო ზეცამდე აწვდილო,
ფერდებო დარიჯიანო.

შენა ხარ ტკბილი სიზმარი,
ზოგჯერ ცელქი და მშფოთვარე,
გალაღებს ნაკადულები,
თავზე დაგნათის მზე-მთვარე.

თუთები ტანკენარები
სიამით იფურჩქნებიან,
ხევას თქარუნზე „ყიშლაში“,
ენძელას გაღვიძებია.

რქაცრემლიანი მაღლარი
ჭერმის ხეს ჩასჭიდებია,
მეც შენთან ყოფნა მერგუნა,
რა ბედი დამბედებია.

საროს ციხე

სხივმარგალიტად ანთიხარ,
სალი ქარაფის მპყრობელო,
წარსულით გაბრწყინებულო,
მტრისათვის მიუდგომელო.

ცამდე აწვდილო კოშკებო,
დადინჯებულო ლოდებო,
დევკაცთა ხელით ნაგებო,
დიადო, შეუცნობელო.

ნაისავ

რა დიადი მაქვს წარსული,
რა ბედი დამებედაო,
ჟღალჩოხიანო ნაისავ,
ავი ვინ გაგიბედაო.

გნახე და როგორ დავღონდი, –
როგორ მომინდა შველაო,
თვალს ცრემლი აღარ მშორდება,
გულს ცეცხლი არა ქრებაო.

ნეტავი წყაროდ მაქცია

საიქიოსკენ მივიწევ,
წლები გავლიე მრავალი,
ძნელი ყოფილა ქალაუ,
გზები შენამდე სავალი.

შეიმოსები, გულს მიკლავ,
მაგ შენი ფარჩა-ფურჩითა,
ნეტავი წყაროდ მაქცია,
დამლია შენი ტუჩითა.

ხერთვისო

ხერთვისო, სხივმომფინარევ,
სიტურფევ მესხთა მხარისა,
გეტრფი და გეთაყვანები
შენ, უძლეველო ძალისა.

წარსულით გაბრწყინებულო,
მადლი გფარავდეს ჯვარისა,
არ მოგიშალოს წყალობა,
ფარავნისა და მტკვარისა.

ნამდვილი მარგალიტი ხარ
ამ ტურფა მთა და ბარისა,
ავ-თვალმა ვერა დაგაკლოს,
იმედი მოგცეს ხვალისა.

ხევა

ბარისკენ გამოიწიე,
იუკადრისე მთანია,
ჩამოიარე კაპანი
ვიწრო და მიუვალია.

ცამ მოგაგება ცვარ-ნამი,
„ყიშლამ“ მოგძახა ბანია,
ტყემ კალთა გადმოგაფარა,
გაგიხსნა გულის კარია.

ქვაბისხევს თეთრი ტყემლების
შემოგეგება ჯარია,
გვირილებმა და შროშნებმა
შენს წინ დახარეს თავია.

ჩამოიარე ტოლოშში,
არ დააყოვნე ხანია,
ბაღნარად გადააქციე –
სამოთხის შესადარია.

მერე მტკვარს გაჰყევ უჩუმრად
ვით მორცხვი პატარძალია.

ყრუ არის წუთისოფელი

გაზაფხულდება ნაირფრად,
აყვავილდება აპრილი,
გაიშლებიან იები,
„დედის ცრემლებად დაღვრილი“.

მოფრინდებიან მერცხლები,
ატყდება ჟივილ-ხივილი,
გამახსენდება მე ისევ
დედილო, შენი ღიმილი.

ჟამმა ვერ გაახალისა
ჩემი სევდა და ტკივილი,
ყრუა არის წუთისოფელი
არ ესმის კაცის ჩივილი.

ავტორ-მთქმელი ელდარ ზაზაძე,
43 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი,
სოფ. ტოლოში

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com